კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

# საქართველოს რესპუბლიკა

კვირა, 22 თებერვალი, 2004 წელი

№44 (4773)

ინციდენტი

## «ვარდის ფურცლობის ნიშანი არის და დრო ახალი პაემანისა»(?!)


ისვრიან.


სამუშაოს მოითხოვენ.


ცენტრისკენ მოდიან.

ინფორმაცია

### სროლა – მომიტინგეთა დასაშინებლად

**გუშინ, დაახლოებით ორის ნახევრისთვის, სტამბა „ომეგა-თეგში“ სპეცდანიშნულების რაზმმა 300-მდე მომიტინგეს, რომლებიც თავიანთ სამუშაო ადგილებზე დაშვებას ითხოვდნენ, ცეცხლი გაუხსნა.**

სროლა რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. აქციის მონაწილეები მიმდებარე ტერიტორიიდან დაბნეულები გამოიქცნენ. სროლის შედეგად დაზიანდა იქვე ბუნებრივი გაზის მილი, რამაც აფეთქების საშიშროება შექმნა.

პანიკაში ჩავარდნილი ადამიანები შემთხვევის ადგილს გაეცალნენ, მაგრამ არ დაშლილან იმის მიუხედავად, რომ ზაზა ოქუაშვილი მათ ამისკენ მოუწოდებდა, რადგან აქციის მონაწილეების სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა.

მანამდე აქცია სრულიად მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა.

ინტერ-პრესი.



### ცეცხლი – ჩემკენ!

გადადიოდა ეკრანიდან ეკრანზე ინფორმაცია: „ომეგა-თეგის“ წინ შეკრებილი მუშების დასაშლელად ისროლეს! ხალხისკენ ისროლეს! ჰაერში ისროლეს!

დიდი ხანია, ავტომატის ჯერს არ დაუცხრილავს თბილისის მუდმივი დაძაბულობის ველი.

ხალხს არ ესროლეს. მართალია.

მაგრამ ისიც მართალია, რომ ტყვია გავარდა.

არავინ დაჭრილა, მადლობა ღმერთს! მაგრამ:

**ხმალს ნუ ჩაჰხედავ,**
**მოყმეო,**
**ხმალი მშიერი მგელია,**
**გაგიჭრის,**
**გაგიხალიზებს,**
**ბოლო საფლავის**
**მთხრელია!**

გაფრთხილებასავით ძაფზე ეკიდა საფლავის მთხრელი ხმლის შეგონება შარშანდელ გიორგობას, როცა პრეზიდენტი გადადგა; სამი წლის წინანდელ ოქტომბერშიც, როცა უშიშროების უნიჭო შესვლა ერთ ტელევიზიაში სიტყვის თავისუფლების ხელყოფის მცდელობად იქნა აღქმული და რასაც იმჟამინდელი მთავრობა გადააყოლეს.

იმ დროს ქუჩაში იარაღიანი პოლიციელი არ გამოსულა.

ახლა ისროლეს: გამოძიებას ხელი რომ არ შეშლოდა იმიტომო. ძალიან ნერვიული გამომძიებლები ყოფილან, თუ ჭიშკრის იქით შეკრებილი ხალხის


პროტესტს გამოხატავენ.

პროტესტს ისე გამოჰყავს წყობიდან, რომ ავტომატიანი სპეცრაზმელებით დაცვა სჭირდებათ.

„თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ?“

იხ. მე-2 გვ.

### ტყვიამ რწმენა და იმედი არ უნდა მოკლას

ის, რაც გუშინ „ომეგას“ ოფისთან მოხდა, უბრალოდ აღმაშფოთებელი კი არა, ყოვლად დაუშვებელი, მიუღებელი და გაუმართლებელია. იგი ძალაუნებურად იწვევს 1992 წლის იანვრის მოვლენათა ასოციაციებს, როდესაც დიდუბის მეტროსთან თუ სახელმწიფო ცირკის შენობასთან მშვიდობიან მომიტინგეებს ცეცხლი გაუხსნეს.

სახელმწიფოს წარმომადგენლები ხალხს იარაღის ენით არანაირ სიტუაციაში არ უნდა ელაპარაკებოდნენ!

ხოლო თუ სამართალდამცავ ორგანოებს საკუთარ ხალხთან ურთიერთობის სხვა ფორმა და მეთოდი არა აქვთ, ეს უკვე კატასტროფის დასაწყისის მომასწავებელია!

ამიტომაც გამოიწვია საქართველოს მოსახლეობის აღშფოთება შარშან, შემოდგომაზე ზუგდიდში მომხდარმა ინციდენტმა, როდესაც ხელისუფლების ნილბიანმა მხარდამჭერებმა ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერ მომიტინგეთა დაშლა ავტომატების კაკანით გადაწყვიტეს.

და ეს აღშფოთება, ბევრი სხვა მომენტის გათვალისწინებითაც, ლოგიკურად გადაიზარდა ერთსულოვან მოთხოვნაში – გადამდგარიყო ხელისუფლება!

იხ. მე-2 გვ.

პრეზიდენტი

### ოფიციალურ ვიზიტად – აშშ-ში

**ამ დილით საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოფიციალურ ვიზიტად ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრინდა.**

თვალსაჩინო

### თორემ რაღაც ძალიან აიმღვრა წყალი იმერშიც, ამერშიც...

**მოვლენებით ასეთი დატვირთული კვირა, კარგა ხანია, არ გვქონია. სენსაციებისა და ჭორების მოყვარულთ პირდაპირ ნანატრი დღეები ედგათ.**

ჯერ იყო და, პარლამენტმა ქვეყნის მთავრობა დაამტკიცა.

ამრიგად, საქართველოს უკვე ჰყავს მინისტრთა კაბინეტი, რომელიც პირდაპირი და აღმავალი ხაზით აგრძელებს „ვარდების რევოლუციის“ ესტაფეტას და ერს თავის უმრწემეს შვილებს წარმოუჩენს, რომლებმაც ამ ერის მამობა იდვეს კისრად.

მივცეთ ჩვენს ოქროსქოჩრიან და ოქროსდალალებიან მთავრობას მოქმედების თავისუფლება! თუმცა სიჭაბუკეზე ფსონის ჩამოსვლა მხოლოდ ჩვენი ახალი ხელისუფლების აღმოჩენა როდია. უწლოვანთა პირველი ექსპერიმენტი ედუარდ შევარდნაძემ დააყენა, როცა ფინანსთა სამინისტროს საძოვარზე ერთმანეთის მიყოლებით ჯერ კიდევ რქებამოუწვერავი ბეკეკები შერეკა. მაშინ იმ ექსპერიმენტმა არ გაამართლა, მაგრამ ეს სულაც არ გვაძლევს ჭმუნვის საფუძველს, რომ ცდა ამჯერადაც უშედეგო იქნება. მაშინ იმდენ ჭაღარასა და მელოტში ობლად მოხასხასე ნორჩი კულულები ისევე უადგილოდ და უიმედოდ ჩანდა, როგორც დღეს ერთიან საკულულეთში ჩანს ანაქრონიზმად აგერ-ეგერ გარეული მხცე. მინისტრი პოლიტიკური ფიგურაა და, იქნებ, ჩვენს პოლიტიკურ ვითარებას სწორედ ასეთი ფიგურები სჭირდება?

ცნობილია: რომში თვით იმპერატორი ვერ ბედავდა გლადიატორთა ბრძოლის დროს ცირკის მაღლა აწეული ცერების წინააღმდეგ წასვლას.

სამაგიეროდ, საქართველოს გენერალური პროკურორი არ ეპუება არავითარ საზოგადოებრივ აზრს და „დოსტოღრივ“ მიიწევს განზრახულის აღსასრულებლად.

იხ. მე-3 გვ.

ინტერპანორამა

**<u>არნოლდ შვარცენეგერი</u> აპირებს, მიაღწიოს ერთსქესოვანთა ქორწინების აკრძალვას. მისი თქმით, ამგვარი ქორწინებები „უშუალო საფრთხეს უქმნის წესრიგს საზოგადოებაში“. რამდენიმე ათასმა ასეთმა წყვილმა უკვე იქორწინა სან-ფრანცისკოში მას შემდეგ, რაც ქალაქის მერმა უგულებელყო კალიფორნიის კანონმდებლობა.**



**<u>ჯანდაცვის</u> მსოფლიო ორგანიზაციის მტკიცებით, კატებში „ქათმის გრიპის“ გამოვლენა არ ზრდის ადამიანთა დასნებოვნების რისკს. ადამიანის ჯანმრთელობისთვის რეალური საფრთხე გაჩნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ვირუსი გამოვლინდება ღორებში, რომელთაც ადამიანის მსგავსი გენოტიპი აქვთ.**



**<u>ისრაელის</u> ტელევიზიამ დაუსახელებელ „ოფიციალურ წყაროზე“ დაყრდნობით განაცხადა, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ მიიღო დაახლოებით 10 კილომეტრი სიგრძის „გამყოფი კედლის“ დანგრევის გადაწყვეტილება.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ინციდენტი

# ცეცხლი – ჩეჩკენ!

(პირველი გვერდიდან)

ქართულ საზოგადოებრივ თეატრში იმ თოფიდან ისროლეს, რომელიც პირველ მოქმედებაში კედელზე ეკიდა.

რომელი აქტია სპექტაკლის?

...

ახლა დაეშვება ფარდა და წავალთ სახლებში.

პრობლემები დარჩება — ფარდის იქით და ფარდის აქეთ.

რევოლუციების კანონზომიერებაა, თუ კანონზომიერება ცხოვრების? „სულელის მიერ გადმოცემული იმ მოთხრობისა, რომელშიც ბევრი სიტყვაა და ქინი, არ არის მხოლოდ სადი გონიერება“. (**უილიამ შექსპირი**).

გუშინ, დღის მეორე ნახევარში თბილისში წამოთოვა. ისე, გაუბედავად. ნაქარალს გავდა.

თებერვლის ბოლოს უფუნქციოდ დარჩენილმა ზამთარმა „ვარდის დაზრობის“ ბუნებრივი უფლების მატერიალიზება მოინდომა.

2004 ნაკიანი წელიწადია.

**არმაზ სანებლიძე.**

P.S. **ნუმიდიელმა „ბოლიმკარმა, ბრალდება რომ წაუყენეს, სასამართლომდე თავს უშველა, გაიქცა იოგორტასთან ერთად, რომელმაც ასეთი შესანიშნავი გამოთქმა დაგვიტოვა: „მთელი რომის ერთიანად ყიდვა შეიძლება, თუ გამოჩნდება მისი მყიდველი“.**

**ჩვენს ერამდე 110 წელს მომხდარა ეს ამბავი, ირწმუნება აპიანე ალექსანდრიელი.**

# ტყვიამ რწმენა და იმედი არ უნდა მოკლას

(პირველი გვერდიდან)

ახალ ხელისუფლებას ხალხი უკეთესი მომავლის რწმენითა და იმედით შეხვდა.

და სწორედ ეს რწმენა და იმედი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოკლას თუნდაც ჰაერში ნასროლმა ტყვიამ!

გუშინდელი ინციდენტის, ინსპირატორებს, ვიმედოვნებთ, ისეთივე გულმოდგინებით დასჯიან, როგორც ეს ზუგდიდის ზემოთ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გააკეთეს.

— ეს აუცილებელია, რადგან იმედი თუმცა ბოლოს კვდება, მაგრამ უკვდავი არც ის არის. თანაც მისი მოკვლა მარტო ტყვიით კი არა, უყურადღებობითაც შეიძლება!

**რუსლან რუსია.**

რეაქცია

### იწონებენ



**რუსთაველის თეატრის დირექტორს გია თევზაძეს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების დიდი იმედი აქვს და ახალი ხელისუფლების მხრიდან კანონის ფარგლებში ჩადენილ ნებისმიერ ქმედებას გამართლებულად მიიჩნევს.**

**თევზაძე სრულიად კანონიერს უწოდებს „ომეგა ჯგუფის“ წინააღმდეგ განხორციელებულ ფაქტსაც.**

**თევზაძე მიიჩნევს, რომ სპეცდანიშნულების რაზმი მხოლოდ დაშინების გზით მოქმედებდა და არანაირ კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია.**

* * *

**ცნობილი რეჟისორი გიორგი შენგელაია სტამბა „ომეგა თეგთან“ „ომეგა ჯგუფის“ მხარდამჭერების წინააღმდეგ იარაღის გამოყენებას სრულიად გამართლებულად მიიჩნევს და აცხადებს, რომ კანონის დასაცავად დაშინების მეთოდის გამოყენება სრულიად მიზანშეწონილია.**

**„თანამშრომლების მხრიდან დალუქულ შენობაში შეჭრის მცდელობა უკანონო ქმედებაა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან შესაბამის რეაგირებას საჭიროებს,“ — აღნიშნა შენგელაიამ და დასძინა, რომ საქართველოს გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი კანონის სრული დაცვით მოქმედებს, “რაც მან არაერთხელ დაგვიმტკიცა“.**

### გმობენ

**ცნობილი რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე სტამბა „ომეგა თეგთან“ სროლით დაშინებას სრულიად გაუმართლებლად მიიჩნევს და ხელისუფლების მხრიდან მსგავსი სახის ქმედებას ბარბაროსობის და მედიაზე ზეწოლის მცდელობის შეაფასებას აძლევს.**

**„ხელისუფლება ცდილობს, დაშინების გზით მარწუხებში მოაქციოს სიტყვის თავისუფლება,“ — აღნიშნა ლორთქიფანიძემ.**

* * *

**„სახალხო პარტიის“ ლიდერი მამუკა გიორგაძე თვლის: „თბილისში რომ ისევ ტყვია გავარდა, ეს ძალიან ცუდის მანიშნებელია, მე აქ იმიტომ ვარ, რომ აღშფოთებული ვარ ამ ამბით. ერთი საკითხია, მე როგორ ვაფასებ სააკაშვილის საქმიანობას, დადებითად თუ უარყოფითად, მაგრამ ნამდვილად არ მინდოდა, რომ სააკაშვილის დროს ეს ამბავი მომხდარიყო,“ - განაცხადა გიორგაძემ.**

### იქითაც, აქეთაც

**დრამატურგი ლაშა ბუღაძე აცხადებს, რომ არ შეიძლება დადებითად შეფასდეს ის მოვლენა, როდესაც იარაღი იქნება გამოყენებული.**

**სახელმწიფოს არ უნდა სჭირდებოდეს იარაღის გამოყენება სიმართლის დასაცავად და მოსახლეობაც დაცული უნდა იყოს ამ საშიშროებისგან.**

**თუმცა, ლაშა ბუღაძის აზრით, ის, რაც ტელეკომპანია „იბერიას“ მიმართ ბოლო დღეებში განხორციელდა, თავისუფალი სიტყვის შეზღუდვად არ შეიძლება მივიჩნიოთ. მისი აზრით, თავისუფალ სიტყვას საშიშროება არ ემუქრება და თუ დაემუქრება, ეს ხელისუფლებისათვის თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება, რადგან მათ ძალიან კარგად იციან მისი ფასი.**

**ბუღაძის აზრით, ღამის გადაცემების დროებით შეჩერებას სხვადასხვა სამაუწყებლო კომპანიებზე [redacted]ვისუფლების შეზღუდვასთან კავშირი [redacted]იაჩნია, რომ ხალხს პოზიტივი სჭირდება [redacted]რომ ღამე ადამიანთა ჩხუბს და მოზღ[redacted]ოციებს უსმინონ.**

**[redacted]იები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**







ამ დროს

# გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი აცხადებს

**„ომეგა თეგის“ ოფისზე მიმაგრებულ შინაგანი ჯარის მებრძოლებს, რომლებიც ობიექტს იცავენ, თავისი შინაგანაწესის თანახმად სრული უფლება ჰქონდათ გამაფრთხილებელი გასროლა განეხორციელებინათ, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი მიეღოთ გადაწყვეტილება სხვა დამატებითი ზომების მისაღებად.**

**ამის შესახებ გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა.**

**მისი თქმით, „ომეგა თეგის“ ტერიტორიაზე იმყოფებოდა შინაგანი ჯარის ის კონტინგენტი, რომელიც გამაფრთხილებელი გასროლის გარეშე 200-მდე ადამიანთან გამკლავებას ვერ შეძლებდა და ამიტომ მან სრულიად კანონიერად მიიღო გადაწყვეტილება გამაფრთხილებელი გასროლის შესახებ.**

**„ის ჯარისკაცები, რომლებიც აღნიშნულ ობიექტს იცავენ, პირველ რიგში, იცავენ ქართულ სახელმწიფოებრიობას. ვერავინ ვერ შეძლებს, რომ მუშები ფარად გამოიყენოს და უკანონო მიზანს მიაღწიოს. ვაფრთხილებ იმ ადამიანებს, რომლებიც ამ თემით ცდილობენ მანიპულირებას, რომ ნებისმიერ შემთხვევაში გამომძიებელი თუ სპეცრაზმელი კანონის საფუძველზე ყველა ზომას გამოიყენებს იმისათვის, რომ ქვეყანაში შენარჩუნებული იყოს წესრიგი,“ — განაცხადა გენერალურმა პროკურორმა.**

**რაც შეეხება „ინტერპრესის“ შეკითხვას, ჰქონდა თუ არა ყოფილ ხელისუფლებას იმავე შინაგანაწესის თანახმად, ძალის გამოყენების უფლება გასული წლის 23 ნოემბერს, როდესაც საქართველოს პარლამენტსა და სახელმწიფო კანცელარიის შენობებში მაშინდელი ოპოზიციის ლიდერები და ხალხი შეიჭრა, და რამდენად კანონიერად მოიქცა იმჟამინდელი ხელისუფლება, როცა კანონის შესაბამისად აღნიშნული ფაქტი არ აღკვეთა, ამაზე ირაკლი ოქრუაშვილმა შემდეგი პასუხი გასცა: — „ედუარდ შევარდნაძეს ჰკითხეთ“.**

**ირაკლი ოქრუაშვილის თქმით, „ომეგა თეგის“ თანამშრომლები, რომლებიც ოფისის ტერიტორიაზე შეჭრას ცდილობდნენ, სპეცრაზმელების მისამართით იმუქრებოდნენ. პროკურორის განცხადებით, გამომძიებელს გადაცემული აქვს იმ თანამშრომელთა სია, რომლებსაც საპროცესო მოქმედებების ჩატარების დროს ოფისის ტერიტორიაზე შესვლის უფლება გააჩნიათ, ეს არის 6 ადამიანი, აქედან 3 მუშა, რომლებიც ქარხანაში საწარმოო პროცესებს აწარმოებენ, დანარჩენები კი არიან „ფილიპ-მორისის“ თანამშრომლები, რომელთა ოფისიც არის მეტნაკლებად იზოლირებული.**

**რაც შეეხება იმ ფაქტს, თუ რატომ გაიღო ჭიშკარი, გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, რომ მიმდინარეობს მოკვლევა და თუ გაირკვევა, რომ რომელიმე ჯარისკაცმა გამოიჩინა დაუდევრობა კარის გაღების დროს, ეს რეაგირების გარეშე არ დაჩება.**

მათი აზრი

# დესტაბილიზაციის მცდელობა, თუ...

**გუშინ, ნაშუადღევს ფირმა „ომეგას“ თანამშრომლებმა და მათმა მხარდამჭერმა პირებმა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია გამართეს სახელმწიფო ტელევიზიის შენობის წინ, შემდეგ კი სახელმწიფო კანცელარიისკენ გადაინაცვლეს. აქციის რამდენიმე მონაწილეს ვთხოვეთ აზრის გამოთქმა.**

**მაია ბიბილეიშვილი, ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელი:** — მე ჟურნალ „ომეგას“ და გაზეთ „ახალი ეპოქის“ დამატების „ქართული მწერლობის“ აქტიური მკითხველი ვარ. დიდი ინტერესით ვადევნებ თვალს ტელევიზია „იბერიის“ გადაცემებსაც, რომელიც დღეს ერთ-ერთი მიუკერძოებელი და ობიექტურია.

სამწუხაროდ, ამ ბოლო დღეებში ფირმასთან დაკავშირებული ამბები და, მით უფრო, მშვიდობიან მომიტინგეთა იარაღის ძალით დაშლის ფაქტი ჩემთვის ყოვლად მიუღებელი და გაუგებარია.

**ქეთევან გამდლიშვილი, ხაშურის შპს „დელტას“ ხელმძღვანელი:** — ჩვენი ფირმა „ომეგას“ პროდუქციის რეალიზატორია. მე ამ სისტემაში 1992 წლიდან ვმუშაობ. პროფესიით ინჟინერ-ელექტრიკოსი ვარ, ადრე ვმუშაობდი საწარმოო გაერთიანება „ორიონში“, როცა ქვეყანა დაიშალა, უმუშევრად დარჩენილმა სწორედ „ომეგაში“ ვპოვე თავშესაფარი, რომელმაც მთელი ამ წლების მანძილზე არა მარტო მე, არამედ ჩემთან მომუშავე 40 კაცს თავის გატანის საშუალება მოგვცა.

უბრალოდ, დათრგუნული ვარ იმით, რაც დღეს „ომეგას“ ოფისთან მოხდა.

**თემურ მეტრეველი, გაზეთ „ახალი ეპოქის“ მთავარი რედაქტორი:** — შეძრული ვარ იმით, რაც დღეს ვნახე. აქ შეკრებილი ხალხი ძირითადად „ომეგას“ თანამშრომელია. რაც შეეხება თავად სტამბას, ის ერთ-ერთი უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სტამბაა ჩვენში.

დღეს, როცა მუშები მივიდნენ სამსახურში ამბის გასაგებად, მათ, სამწუხაროდ, არავინ არ გასცა ნორმალური პასუხი. შემდეგ კი მათ დასაშინებლად ცეცხლი გახსნეს?! ეს არის პასუხი?

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ მითითების თანახმად არც ტელევიზიაში შეჭრის უფლება ჰქონდათ, მაგრამ...

ყოველივე ის, რაც ახლა „ომეგასთან“ დაკავშირებით ხდება, მგონი, შეგნებულად ქვეყნის დესტაბილიზაციისაკენაა მიმართული.

„ომეგას“ **ჯგუფის თამბაქოს მწარმოებელი ფირმა „ოჯთ“-ს ახალგაზრდა მუშამ, რომელმაც თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა, ჩემთან საუბარში განაცხადა:** — ხუთშაბათს დაახლოებით ცხრა საათისთვის წარმოებაში შემოცვივდნენ ავტომატებით შეიარაღებული ნიღბიანი პირები, რომლებმაც უხეშად გვიბრძანეს იატაკზე დაწოლა, არც შეურაცხყოფას და ცემას მორიდებიან. თითქოს ჩვენ რეციდივისტები ვიყავით. მათ ჩვენთვის არც თავი წარმოუდგენიათ და არც მოსვლის მიზეზი უთქვამთ. ქალი და კაცი ყველანი ასფალტზე დაგვყარეს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და მუშაობის გაგრძელების საშუალება არ მოგვცეს. ტელეფონის გამოყენებაც კი აგვიკრძალეს.

ფაბრიკაში, რომელიც ევროპული სტანდარტებითაა აღჭურვილი, მუშებს ყველა პირობა გვქონდა შექმნილი ნორმალური მუშაობისათვის. ჩვენთვის კვება და სამედიცინო მომსახურებაც უფასო იყო.

გუშინ კი, როცა სამუშაოზე გამოვცხადდით, საწარმოში არ შეგვიშვეს. როდესაც ამის მიზეზის გარკვევა ვცადეთ, ავტომატის ცეცხლით დაგვაშინეს. ასეთი რამ წარმოუდგენელია...

**საუბარი ჩაიწერა**
**თეიმურაზ კინწურაშვილმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველ[redacted] რესპუბლიკა“!

## ხელოვანი

ათი წლის წინათ ცნობილმა მოქანდაკემ მერაბ მერაბიშვილმა ამერიკის პრეზიდენტის საკმაოდ ცოცხალი პორტრეტი გამოძერწა... ფერადი ლითონის მსუბუქ ტონალობაში ჩამოასხა, შუქ-ჩრდილების კონტრასტული კომბინირებით მხატვრული ქღერადობა მიანიჭა და... რეტროსპექტრული სახელოსნოს მყუდრო გარემოცვაში ადგილიც მიუჩინა...

მას შემდეგ გავიდა დრო...

ახლახან მის არაჩვეულებრივ გალერეაში მაშინ მოვხვდი, როცა ხელოვანი თიხას სამუდამოდ „ამახსოვრებინებდა“ გურამ საღარაძის მეტყველ მსახიობურ შტრიხებს და თან მუხრან მაჭავარიანის პოეტურ სტრიქონებს იმეორებდა: „იარონ, იარონ, იარონ, ამინ!..“

# „...დამიძახოს და, მივალ თეთრ სახლში“

**მერაბ მერაბიშვილი უმცროსი ჯორჯ ბუშის პორტრეტის გამოსაქანდაკებლადაც მზად არის**

**— ბატონო მერაბ, უფროს ჯორჯ ბუშს მაჩვენებთ? — გარკვეული კრძალვით ვეკითხები.**

— კი ბატონო!.. სიამოვნებით, აი, — მიმითითა და ჩემს წინაშე თაბაშირში ჩამოსხმული სუფთა ამერიკელი ინტელიგენტის ბიუსტი გამოჩნდა, რომლის მზერაშიც სიდარბაისლე სჭარბობდა.

**— ორიგინალი უმცროს ჯორჯ ბუშს აჩუქეთ, არა?**

— ბრინჯაოში ჩამოსხმული კი. ახლახან, ამერიკის სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის ხელით გავუგზავნე. არადა, მაშინ გავაქანდაკე, როცა უფროსი ბუშის პრეზიდენტობის ბოლო წელი იწურებოდა, და ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნების ციებცხელება მიმდინარეობდა. მაშინ ბუშს კლინტონმა მოუგო... იმ პერიოდში, საქართველო აშშ-სთან მეგობრობის პირველ ნაბიჯებს დგამდა და, ვფიქრობ, ეს თემა მომგებიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შევარდნაძის მთავრობა რატომღაც ამ ნამუშევრით ნაკლებად დაინტერესდა.

**— რატომ?**

— არ ვიცი, ალბათ, პოლიტიკური კლიმატის გამო... ახლა კი, ათი წლის შემდეგ, საგარეო საქმეთა სამინისტროდან დამიკავშირდნენ. შემდეგ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის აპარატიდანაც გაისმა ზარი. ვფიქრობ, ზეზვა ღუღუნიშვილი ესაუბრა ამ ბიუსტის შესახებ ქალბატონ ნინოს და ამას შესაბამისი რეაქციაც მოჰყვა. იცით, მე ხელოვანი ვარ, ზედმეტად შეწუხება არავისი არ მიყვარს, განსაკუთრებით პოლიტიკოსების. ეს ნამუშევარი არავის დაკვეთით არ შემისრულებია. ინიციატივა და სურვილი ჩემი იყო, — უბრალოდ, უფროსი ბუშის პორტრეტით დავინტერესდი და მორჩა.

**— პირადად თუ შეხვედრიხართ?**

— არასოდეს. ნანახი მყავდა მხოლოდ ტელევიზიით. საერთოდ, მოქანდაკისთვის დიდი სიამოვნებაა ცოცხალ ნატურასთან მუშაობა, რადგანაც პორტრეტი სპეციფიკური სამუშაოა, „ნიღბის“ გამოძერწვა ასე იოლი არაა... მთავარია, ხასიათი დაიჭირო და სიცოცხლე მიანიჭო. მახსოვს, როცა ეს ნამუშევარი მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ ნახა, ნამდვილი ამერიკელიაო, თქვა და მართლაც ასეა. თუ დავაკვირდებით და მახვილი თვალით შევხედავთ, უკვე ჩამოყალიბდა ტიპი, ჯიში ამერიკელებისა, რომელთა ხასიათი შეიძლება მოქანდაკემ მხატვრულად მეტყველი გახადოს.

**— ამ ნამუშევარში ჰონორარი თუ გადაგიხადეს?**

— არა, ეს ხომ საჩუქარია ჩემგან და ვარდების რევოლუციური საქართველოდან ამერიკის ახლანდელი პრეზიდენტისადმი.

**— უმცროსი ჯორჯ ბუშის გამოქანდაკება არ გიცდიათ?**

— იცით რა, თუ უნდა უმცროსს ბუშს ჩემეული ხელწერა მისეული პორტრეტისა, მაშინ მეწვიოს სახელოსნოში. თუ არ მოვა, დამიძახოს და, თავად ვეახლები თეთრ სახლში.

**მზეხა მახარაძე.**

**სურათზე: მერაბ და ნიკოლოზ მერაბიშვილები ჯორჯ ბუშის ბიუსტთან.**



## თვალსაწიერი

# თორემ რაღაც ძალიან აიმღვრა წყალი იმერშიც, ამერშიც...

(პირველი გვერდიდან)

იგი ვერ შეარყია იმ ალიაქოთმა, რაც „ომეგას“ ფირმებზე შეტევას მოჰყვა.

ვერაფერს ვიტყვი, არ ვიცი, რა ხდებოდა „ომეგას“ საწარმოებში, რამდენად სწორია თუ არასწორია მისდამი წაყენებული ბრალდებები. ყოველ შემთხვევაში, გამოძიება აცხადებს, რომ ყველაფერი წესითა და რიგით ხდება: „ომეგას“ ფირმებს საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით შემოტანილი აქვთ სიგარეტი და გადასახადების დამალვით სახელმწიფო ბიუჯეტს 12 მილიონი ლარის ზარალი მიაყენესო, სხვადასხვა ქვეყნის საბაჟოებისა და შესაბამისი სამსახურების დოკუმენტაცია გვაქვს ამოღებულიო, ამ ფირმების ერთ-ერთ ოფისში მზადდებოდა ყალბი აქციზური მარკები და საგადასახადო ანგარიშფაქტურებიო...

აქ სხვა რამ მინდა ვთქვა:

ამ ოპერაციამ დამოუკიდებელ მასმედიაზე ზეწოლის სახე მიიღო: სპეცრაზმი (ნიღბიანი და ავტომატიანი) შეიჭრა ტელეკომპანია „იბერიაში“, რამაც ბუნებრივია, არა მხოლოდ ჟურნალისტთა, არამედ საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია. ეს აქტი ბუნებრივად გაიგივდა რამდენიმე სატელევიზიო არხზე ღამის საინფორმაციო გადაცემების საეჭვო შეწყვეტასთან. ყველაფერთან ერთად, შეფერხდა გაზეთ „ახალი ეპოქის“ გამოცემა...

მე რომ გენერალური პროკურორი ვყოფილიყავი, ამ ვითარებაში სათოფეზე არ გავეკარებოდი ტელეკომპანია „იბერიას“, თუნდაც მცოდნოდა, რომ იქ ჩუმად შემოპარული ბინ-ლადენი იმალება, მაგრამ მე პროკურორი არ ვარ, ჟურნალისტი ვარო, მითხრა ერთმა კოლეგამ. მართლაც, რა აუცილებლობით იყო გამოწვეული ტელეკომპანიაში შეჭრა, რა საშიშროება შეიძლება შექმნოდათ იქ, ვთქვათ, ორი-სამი გამომძიებელი რომ შესულიყო უბრალოდ, საქაღალდით ხელში?

როცა „რუსთავი-2“-ში უშიშროების სამსახური (უავტომატოდ და უნიღბოდ) შევიდა საბუღალტრო დოკუმენტაციის შესასწავლად, მთელი საქართველო მოიგლიჯა, მთავრობა დაამხო და კინაღამ ხელისუფლებაც მიაყოლა.

ახლა კი ტელეკომპანიაში ნიღაბ-ავტომატიანი სპეცრაზმი შეიჭრა... ბუნებრივია, ამას საზოგადოებრიობა გამოეხმაურა. რეაქცია ერთობ მძაფრი იყო: სასტუმრო „მარიოტთან“ გამართულ აქციაში „იბერიის“ მხარდამჭერებთან ერთად მონაწილეობდნენ პარლამენტის დეპუტატები, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ფართო საზოგადოებრიობა.

თბილისში სტუმრად მყოფმა ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა ვალტერ შვიმერმა, რომელიც ამ ამბავს წაეყარა, აღფოთება გამოთქვა. თუმცა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა იგი დაარწმუნა, რომ ეს მიმართული იყო არა ტელეკომპანია „იბერიის“, არამედ ფირმა „ომეგას“ ფინანსური დარღვევისაკენ.

გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილიც ამტკიცებს, ნურავინ შეეცდება კრიმინალისა და სიტყვის თავისუფლების აღრევას ერთმანეთში, დღეიდან ვერავინ ამოეფარება ვერც პრესის თავისუფლებას და ვერც სადეპუტატო მანდატსო.

მაგრამ...

„იბერიასთან“ დაკავშირებული ამბავი სულაც არ არის ისეთი რანგის ამბავი, რომელიც შეიძლება იოლად ჩაბარდეს წარსულს. გუშინ „ომეგას“ ცენტრალური ოფისის ტერიტორიაზე შეგროვილ მუშებს, რომლებიც მოითხოვდნენ, გაგვარკვიეთ, რატომ ჩვენს სამუშაო ადგილებზე არ გვიშვებენო (არადა, უმუშევარი რჩება 2000 კაცი), იმ მოტივით, ისინი ტერიტორიაზე შეჭრას ცდილობდნენო (არადა, ტელეკადრში აშკარად ჩანდა, რომ არავინ არსად შეჭრას არ ცდილობდა, ზღურბლს არავინ გადასცილებია), სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა ავტომატის ცეცხლი გაუხსნეს — ჰაერში ისროლეს!

დამთრგუნველი და შიშისმომგვრელი სანახაობა იყო.

მან სხვა, უფრო ადრე — 1991 წლის შემოდგომაზე მომხდარი სროლა გაგვახსენა, რომელმაც ავბედითი როლი შეასრულა ხელისუფლებისათვის.

ომეგელთა და მათი მხარდამჭერების დემონსტრაცია ვაშლიჯვარიდან საქტელერადიო კორპორაციის შენობისაკენ დაიძრა, იქიდან კი სახელმწიფო კანცელარიასთან გადაინაცვლა.

ასეთი მსვლელობები და კოსტავას ქუჩაზე — ტელევიზიასთან დემონსტრანტთა თავმოყრაც ბევრის, ასევე საბედისწერო მოვლენების მოსაგონარია.

„ვარდების რევოლუციის“ ცოტა მხარდამჭერი და მოიმედე როდი დაკარგა ამ დღეებში ხელისუფლებამ...

დასაჭერი უნდა დაიჭიროს, მაგრამ დაჭერები სახელმწიფო სტრატეგიად არ უნდა იქცეს. თანაც ასეთი პომპეზურ-სანახაობითი აქტები!

დაჭერები კი გრძელდება. 20 თებერვალს დილით, პირდაპირ თვითმფრინავში აიყვანეს კომპანია „მაგთიკომის“ დამფუძნებელი, პრეზიდენტ შევარდნაძის სიძე გია ჯოხთაბერიძე. მასზე ეჭვი აქვთ, დიდი რაოდენობის გადასახადს მალავდაო. სამართალდამცავები აცხადებენ, რომ საქართველოდან გაქცევას აპირებდა. არადა, ოჯახის წევრები და ადვოკატი აცხადებენ, რომ გია ჯოხთაბერიძე მიემგზავრებოდა პარიზში, იქიდან უნდა გადაფრენილიყო ამერიკაში, სადაც უნდა დასწრებოდა პარტნიორთა კრებას და ამის შესახებ მან გენერალურ პროკურატურას წინდაწინვე აცნობა...

20 თებერვალს ბათუმში შეტაკება მოხდა ასლან აბაშიძის მომხრეებსა და ოპოზიციას შორის, იქაურმა ხელისუფლებამ ამჯერადაც სძლია მოწინააღმდეგეებს. ჯერ უშიშროების საბჭოს მდივანმა ვანო მერაბიშვილმა და შემდეგ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადეს, რომ ის ადამიანები, ვინც უშუალოდ მონაწილეობს, კოორდინაციას უწევს და მართავს არეულობას და ძალადობას ოპოზიციის მიმართ, დაისჯებიანო.

შეიძლება დაისაჯონ კიდეც. მაგრამ, ამასთან ერთად, იქნებ ცენტრალურმა ხელისუფლებამ მდგომარეობის განმუხტვის ტაქტიკასაც მიმართოს, თორემ რაღაც ძალიან აიმღვრა წყალი იმერშიც, ამერშიც...

**ალეკო ასლანიშვილი.**

### გამომრთველი მუშაობს...

საქართველოს ენერგოსისტემა კვლავ შეზღუდულ რეჟიმში მუშაობს, რის გამოც გუშინ თბილისის მოსახლეობას ელექტროენერგია დიდი შეზღუდვით მიეწოდებოდა.

„მართალია, რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი აღდგა, ელექტროენერგია შემოდის სომხეთიდანაც, მუშაობს მე-9 ენერგობლოკი, მაგრამ არსებული სიმძლავრე ელექტროენერგიის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ არის. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში 160 მეგავატის სიმძლავრე მიედინება, 80 მეგავატს ზესტაფონის „ფეროშენადნობი ქარხანა“ მოიხმარს, 60 მეგავატი ქუთაისს მიეწოდება და ა.შ.“ — განაცხადეს „თელასის“ სადისპეტჩეროში.

### როცა არც ფიცი გვწამს და არც ბოლო გვაკვირვებს

ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიიდან 27 იანვარს გატაცებული არასამთავრობო ორგანიზაციის „აფხაზ და ქართველ ახალგაზრდა ხელოვანთა კავშირის“ წევრის დათო ბაძაღუას ადგილსამყოფელის გასარკვევად ზუგდიდში გუშინ აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ჩავიდნენ.

ისინი შეხვდნენ გაეროს წარმომადგენლებს, სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელობას და ზუგდიდის პოლიციის უფროსს, შედგა რამდენიმეწუთიანი შეხვედრა რუსეთის სამშვიდობო ძალების სამხრეთ ზონის სარდალთან, პოლკოვნიკ ვიქტორ კოლიჩენკოვთანაც.

არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრის დათო გურგენიძის განცხადებით, საუბარი შეეხო ბაძაღუას ადგილსამყოფელს. ზუგდიდის პოლიციის უფროსი კახა რაფავა აცხადებს, რომ მათ ჰყავთ მოწმეები იმისა, თუ როგორ გადაიყვანეს აფხაზეთის ტერიტორიაზე გატაცებული ბაძაღუა შეიარაღებული ჯგუფის წევრებმა. კახა რაფავას განცხადებით, შესაძლებელია ჩატარდეს ამოცნობა და მათ აქვთ კონკრეტული ეჭვები შეიარაღებული დაჯგუფების იმ წევრებზე, რომლებმაც მოიტაცეს და აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაიყვანეს დავით ბაძაღუა.

აფხაზური მხარე კი ამას კატეგორიულად უარყოფს — ბაძაღუა გალში არ იმყოფებაო.

### ქიქავები გოგიტიძეს ემუქრებიან

ოპოზიციური გაერთიანება „ჩვენი აჭარის“ ლიდერები აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრს ჯემალ გოგიტიძეს „დემოკრატიული აჭარის“ ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელის ჯელალ ქიქავას მიმართ პირად ანგარიშსწორებაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ ქიქავაზე ფიზიკური ზეწოლის განხორციელების შემთხვევაში, გოგიტიძე „მთელი სიმკაცრით დაისჯება“.

### ახალი „ჩემი აფხაზეთი“

„ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივით თბილისში დევნილთა სახალხო მოძრაობა „ჩემი აფხაზეთი“ ყალიბდება.

საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელია „ნაციონალური მოძრაობის“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე ვახტანგ გამსახურდია.

16 მარტს ჩატარდება ყრილობა, რომელზეც ოფიციალურად დასახელდებიან ის ორგანიზაციები, რომლებიც „ჩემი აფხაზეთის“ შემადგენლობაში შევლენ.

ამ დროისათვის ცნობილია, რომ მოძრაობა „ჩემი აფხაზეთის“ შემადგენლობაში გაერთიანდებიან აფხაზეთის ომის მონაწილე მეომრები, პარტიზანული მოძრაობა „ტყის ძმების“ წარმომადგენლები და მისი ლიდერი დათო შენგელია.

### „წადი, ასლან!“ – „კმარას“ „პროტოტიპი“

მთელი აჭარის მასშტაბით, ყველა ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე მნიშვნელოვან შენობა-დაწესებულებებზე საღებავით შესრულებული წარწერა –„წადი, ასლან!“ გაჩნდება.

უახლოეს დღეებში ამ აქციის განხორციელებას გაერთიანებული ოპოზიცია „ჩვენი აჭარის“ წარმომადგენლები გეგმავენ. გაერთიანების ერთ-ერთი ლიდერის კობა ხაბაზის თქმით, აჭარის მეთაურის წინააღმდეგ მიმართული აქციები გაგრძელდება და კიდევ უფრო მძაფრ ხასიათს მიიღებს.

„აბაშიძის წინააღმდეგ მოსახლეობის ტალღა აგორებულია და მას ვერაფერი შეაჩერებს. აბაშიძის მმართველობის დღეები დათვლილია, “–აცხადებს ხაბაზი.

### ბრალს დღეს წაუყენებენ

საქართველოს გენერალური პროკურატურა კომპანია „მაგთიკომის“ დამფუძნებელს გია ჯოხთაბერიძეს ბრალს დღეს წაუყენებს.

გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, ჯოხთაბერიძეს ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების დამალვის მუხლით წაეყენება.

**ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 44, კვირა, 22 თებერვალი, 2004 წელი.

ახალი თარგმანი

პაულო კოელიო

# ალქიმიკოსი

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ 29-37, 39-43.

გამოხდა ერთი დღე და საღამო ჟამისკენ სანტიაგომ აღვირამოდებული ბედაური ფეხდაფეხ მიიყვანა ალქიმიკოსის კარავთან. მალე ისიც გამოჩნდა და თავის სინიბს უმალ ზედ მოექცა, შევარდენმა კი თავისი ადგილი დაიჭირა მხედრის მარცხენა მხარზე.

— წამო, უდაბნოს სიცოცხლე მაჩვენე, — უთხრა მან, — განძეულის პოვნა მარტო იმას შეუძლია, ვინც აქ სიცოცხლეს მიაგნებს.

სტუმარ-მასპინძელი მთვარით განათებულ ქვიშნარს გაუყვა. „საეჭვოა, რომ მივაგნო, — ფიქრობდა სანტიაგო, — უდაბნოს გაგებაში არა ვარ და აქ სიცოცხლეს რა მიმაგნებინებს“.

ის იყო ალქიმიკოსისკენ მიტრიალება დააპირა, ბარემ ვეტყვი, რასაც ვფიქრობო, მაგრამ შეეშინდა. იარეს, იარეს და იმ ქვიან ადგილს მიადგნენ, საიდანაც ნამწყემსარი ქორ-გეზელთა ფრენას თვალ-ყურს ადევნებდა.

— არა მგონია, რამე გამომივიდეს, — მაინც გაბედა თქმა სანტიაგომ.

— ვიცი, უდაბნოში სიცოცხლეა, მაგრამ მე არ მიმეგნებინება.

— სიცოცხლე სიცოცხლეს იზიდავს, — ნათქვამის პასუხად მიუგო ალქიმიკოსმა.

ჭაბუკმა გაუგო, აღვირი მიუშვა, და ბედაური თავის ნებაზე მიჰყვა ქვიშნარსა და ხირხატს. ალქიმიკოსი კვალდაკვალ მისდევდა. აგრე გავიდა ნახევარი საათი. ფინიკის პალმების ტევრი სადღაც შორს მიფანიერდა, აღარცრა ჩანდა, გარდა კაჭარ-ლოდებისა, ანუ უწყლოს ალაგს რიყის მსგავსი ქვებისა, ვეებერთელა მთვარის შუქს ვერცხლისფრად რომ ირეკლავდნენ. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, როგორც იყო, შედგა სანტიაგოს ბედაური — ნამწყემსარი ადრე აქ არასოდეს არ იყო ნამყოფი.

— თავს მოვიკლავ, აქ სადღაც სიცოცხლე თუ არ სუნთქავდეს, — უთხრა მან ალქიმიკოსს, — მართალია, მე უდაბნოს ენა არ ვიცი, მაგრამ სამაგიეროდ ჩემს ბედაურს ესმის სიცოცხლის ენა.

ჩამოქვეითდნენ. ალქიმიკოსი დუმდა. ქვებს დასცქეროდა და ნელა მიიწევდა წინ. უცებ შედგა, ფრთხილად დაიღუნა. ქვებს შუა ხვრელი ჩანდა შავად. ჯერ თითი შეყო, მერმე მთელი მკლავი შეჩარა მხრამდე. შიგ რაღაც აფუთფუთდა, სანტიაგომ ალქიმიკოსის თვალებში — მხოლოდ თვალებსღა ხედავდა — დაძაბული ყურადღება ამოიკითხა: ის თითქოს ვიღაცას ებრძოლებოდა. მერმე ისე უეცრივ გამოყო ხელი იმ სოროდან და ისეთნაირად წამოვარდა, რომ სანტიაგო მოულოდნელობისგან შეხტა. ალქიმიკოსს კუდით გველი ეჭირა.

ელდანაკრავი სანტიაგო განზე გავარდა. გველი ალქიმიკოსის თითებშუა იხლაკნებოდა და უდაბნოს უშფოთველ მდუმარებას სისინ-სივილით აპობდა. უბრალო გველხოკერა კი არა — კობრა იყო, რომლის ნაკბენიც ადამიანს უსწრაფესად კლავს.

„როგორ არ ეშინია?“ — გაუელვა თავში სანტიაგოს. ალქიმიკოსმა გველის სოროში რომ შეყო ხელი, რასაკვირველია, თავი გადადო, თუმცა მაინც მშვიდად გამოიყურებოდა. „ორასი წლისაა“, — წამოაგონდა სანტიაგოს ინგლისელის სიტყვები. რა თქმა უნდა, ეცოდინება, როგორ უნდა მოექცეს უდაბნოს გველებს.

ვითომც არც არაფერიო, ისე მივიდა თავის სინიბთან, უნაგირს მიკრული ქარქაშიდან გრძელი მოხრილი ხმალი ამოიწვადა, მერმე იმ ხმლით ქვიშაზე წრე შემოხაზა და წამიერად მიყუჩებული უნასი წრის შუაში დააგდო.

— ნუ გეშინია, — უთხრა სანტიაგოს, — მანდედან ეგ ვერ გამოვა. შენ კი უკვე საბუთი ხელთა გაქვს, რომ სიცოცხლე უდაბნოშიც არის. მე სწორედ ეს მინდოდა.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

— ძალიანაც დიდი. პირამიდებს გარშემო უდაბნო აკრავს.

სანტიაგოს აღარ უნდოდა ისევ პირამიდებზე ლაპარაკის ჩამოგდება — ჯერ კიდევ გუშინდლიდან გულზე თითქოს ლოდი რამ აწვა. უნჯ-განძის საძებნელად წასვლა ფატიმას დაკარგვას ნიშნავდა.

— მე თავად გიეტიკებ და გიყოლაუზებ, — უთხრა ალქიმიკოსმა.

— ოაზისში დარჩენა მირჩევნია, — მიუგო სანტიაგომ, — რახან ფატიმას უკვე შევხვდი, სხვა არცრა განძეულს აღარ ვეძებ.

— ფატიმა უდაბნოს ასულია. კარგად იცის, კაცები თუ მიდიან, იმიტომ მიდიან, რათა მერმე დაბრუნდნენ. შენი პოვნით თავისი განძეული იმანაც იპოვა. ახლა კი იმედოვნებს, რომ იმასაც მიაგნებ, რასაც ეძებ.

— თუ არ წავედი და დავრჩი?

— დარჩები და ბელადის ვეზირი გახდები. იმდენი ოქრო გექნება, ცხვარსაც ბევრს იყიდი და აქლემსაც. ფატიმას ცოლად შეირთავ, და პირველ წელიწადს ბედნიერად იცხოვრებთ. უდაბნოს სიყვარულსაც ისწავლი და ორმოცდაათი ათასი ფინიკის პალმიდან ცალ-ცალკე არც ერთის ცნობა არ გაგიჭირდება. გაიგებ, როგორ იყრიან ტანს და ამ თავიანთი ტანის აყრით დაგიბეჯითებენ, რომ ეს ქვეყანა მუდმივად იცვლება. ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო უკეთესად გაერკვევი ნიშნებში, ვინაიდან უდაბნოზე უკეთესი მასწავლებელი არცვინ არის.

მაგრამ გავა წელიწადი და მოგაგონდება შენი უნჯ-განძი. ნიშნები აღარ მოგასვენებენ, სულ იმაზე დაგიწყებენ ჩიჩინს, შენ კი ყურადღებას არც მიაქცევ, ვითომ ვერცა გხედავთ და არც მესმის თქვენიო. მთელ შენს ცოდნასა და უნარს ოაზისისა და ოაზისელთა საკეთილდღეოდ გამოიყენებ. ტომის ბელადები მადლობელი გაგიხდებიან, აქლემები კი უამრავ სიმდიდრეს მოგიზიდავენ და ძალაუფლებასაც გაგიმტკიცებენ.

გაივლის კიდევ ერთი წელიწადი. ნიშნები კვლავინდებურად სულ შენი უნჯ-განძისა და შენი გზის შეხსენებაში იქნებიან. ღამღამობით გახვალ და იწრიალებ, იბორიალებ ოაზისში, ფატიმას კი დარდი შეუჭამს გულს, რადგან მიხვდება, თავისი უნჯ-განძის ძებნაზე ჩემი გულისთვის აიღო ხელიო. თუმცა შენ ისევ ძველებურად გეყვარება ფატიმა, და ისიც სიყვარულითვე გიპასუხებს. მოგაგონდება, რომ იმას ერთხელაც არ უთხოვნია, ნუ წახვალო, ვინაიდან უდაბნოს ქალებმა იციან თავიანთი წასული კაცების ლოდინი. და ნანდაურს ვერცრაში დაადანაშაულებ, ოღონდ არა ერთსა და ორ ღამეს შეაჯერებ უდაბნოს, არა ერთსა და ორ ღამეს შეაჯერებ ტევრს პალმებისას, და გულს დაგიღრღნის ფიქრი, ფატიმას სიყვარულს თუ უფრო მეტად ვირწმუნებდი, წასვლა არამც არ გამიჭირდებოდაო. რამეთუ უდაბნოში შენ შიში გაჩერებს, იმის შიში, ვაითუ ვეღარ დავბრუნდეო. ამ ყოყმან-ჭოჭმანში მყოფს ნიშნები პირდაპირ გეტყვიან, რომ უნჯ-განძს ტყუილადღა დაუწყებ ძებნას, სამუდამოდ უნდა დაემშვიდობო.

დადგება მეოთხე წელიწადი, და ნიშნები გაქრებიან, რადგან შენ იმათი შემჩნევა აღარ მოგეპრიანება. როგორც კი ამას მიგიხვდებიან, ბელადები აშას გიკრავენ შენს სამსახურზე, შენი არცრა გვინდაო, გეტყვიან, თუმცა იმ დროისთვის შენ უკვე მდიდარი სოვდაგარი იქნები, ბეზირგანი, უამრავი ქულბაქი გექნება და აქლემების უამრავივე ჯოგი გეყოლება. და შენი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე უდაბნოსა და პალმების ტევრს შუა იყიალებ გულგასენილი იმის გამო, რომ თავის დროზე შენს გზას არ დაემწყემსე და გონს გვიან მოეგე.

მოკლედ, ვერცროდის მიხვდები, რომ სიყვარული სულაც არ უშლის ხელს ადამიანს თავისი ბედ-იღბლის მიყოლაში. ხოლო ასეთი რამ



როცა ხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ სიყვარული ჭეშმარიტი არ არის. ის არ არის, საყოველთაო ენაზე რომ მეტყველებს, — დაასრულა თავისი სათქმელი ალქიმიკოსმა.

მერმე ქვიშაზე შემოხაზულ წრეს პატარაზე პირი უჩინა, საიდანაც კობრა გამოსრიალდა და ქვებში მიიმალა. სანტიაგოს ბროლის ვაჭარი გაახსენდა, მთელი ცხოვრება მექაში წასვლაზე რომ ოცნებობდა, გაახსენდა ალქიმიკოსის მძებნელი ინგლისელიც და ის ქალაც, რომელსაც სჯეროდა, ერთხელაც უდაბნო ჩემს შესაყვარებელ ადამიანს შემახვედრებსო.

ალქიმიკოსიცა და სანტიაგოც ცხენებზე შესხდნენ. ამჯერად წინ ალქიმიკოსი მიდიოდა. ქარს ოაზისელთა ჟრიამული მოჰქონდა და სანტიაგო იმ ბოჟირ-ჟრიამულში ფატიმას ხმის გამოცნობას ცდილობდა. წინადღეს გულის მურაზს ბრძოლის გამო ჭასთან ვერ შეხვდა.

მაგრამ ახლა, ამ ღამეს კობრასთან მოუწია შეხვედრა, რომელმაც წრის საზღვრის გარღვევა ვერ გაბედა, ბევრი რამ გაიგო მხარზე შევარდენშესმული იდუმალი მხედრისგან, რომელიც სიყვარულსა და განძეულზე, უდაბნოს ქალებსა და ადამიანის ბედ-იღბალზე ელაპარაკებოდა.

— შენთან ერთად ყველგან წამოვალ, — უთხრა სანტიაგომ და იმწუთას იგრძნო, რომ გულში სიმშვიდე დაუსადგურდა.

— ხვალ უთენებლივ გავალთ, — მოკლედ მოუჭრა ალქიმიკოსმა.

* * *

ღამით სანტიაგოს თვალი არ მოუხუჭავს. მზის ამოსვლამდე ორი საათით ადრე იმავე კარავში დაბინავებული ერთ-ერთი ყმაწვილკაცი გააღვიძა და სთხოვა, ფატიმა რომელ კარავშია, მაჩვენეო. ყმაწვილკაცი მაშინვე ყაბულს გაუხდა, კარვიდან ორივენი ერთად გამოვიდნენ და მადლობის ნიშნად სანტიაგომ ფული აჩუქა, ცხვარი იყიდეო.

მერმე ფატიმას გაღვიძება სთხოვა, უთხარი, გარეთ გელოდება-თქო. არაბ ყმაწვილკაცს არც ამ თხოვნაზე უთქვამს უარი და კიდევ ერთი ცხვრის საყიდელი ფული გაირტყა.

— ახლა კი მარტონი დაგვტოვე, — უთხრა სანტიაგომ, და არაბი ყმაწვილკაცი, გაამაყებული, აქაოდა თვით ვეზირს დავეხმარეო, და გახარებული, ცხვრის საყიდელ თანხასაც გამოვკარი ხელიო, თავის კარავში მიბრუნდა და დასაძინებლად დაწვა.

ფატიმაც გამოჩნდა. მიჯნურთ ფინიკის პალმების ტევრს მიაშურეს. სანტიაგომ იცოდა, რომ ადათ-წესს არღვევდა. მაგრამ ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა.

— ჯერ კიდევ უთენია მივდივარ, — უთხრა მან, — მაგრამ უნდა იცოდე, რომ აუცილებლად დავბრუნდები. მე შენ იმიტომ მიყვარხარ...

— ნურაფერს ნუღა იტყვი, — გააწყვეტინა ფატიმამ, — იმიტომ გიყვარვარ, რომ გიყვარვარ. სიყვარულს განმარტება აღარ უნდა.

მაგრამ სანტიაგო განაგრძობდა:

—... იმიტომ მიყვარხარ, რომ სიზმარი ვნახე, მეფე მელქისედეკს შევხვდი, ბროლის ქულბაქში ვიმუშავე, უდაბნო გადმოვლახე, ოაზისში იმ დროს მოვხვდი, როცა ომი ატყდა, და ჭასთან გკითხე, ალქიმიკოსი სად ვიპოვო-მეთქი. მე შენ იმიტომ მიყვარხარ, რომ მთელი ქვეყნიერება ხელს უწყობდა ჩვენს შეხვედრას.

და ყელი ყელსა გადაეჭდო. ისინი პირველად გადაეხვივნენ ერთმანეთს.



— აუცილებლად დავბრუნდები, — გაუმეორა სანტიაგომ.

— ადრე თუ სურვილი მაყურებინებდა უდაბნოს, ახლა იმედით დავუწყებ ცქერას, მამაჩემიც არაერთხელ წასულა უდაბნოში, მაგრამ ყოველთვის ისევ უბრუნდებოდა დედაჩემს.

სხვა არცრა სიტყვა თქმულა. კიდევ ცოტა იარეს პალმებქვეშ, და სანტიაგომ კვლავ იმ კარავთან მიიყვანა ფატიმა, საიდანაც წეღან წამოიყვანა.

— როგორც მამაშენი ბრუნდებოდა ხოლმე, მეც ისე დავბრუნდები.

ფატიმას თვალზე ცრემლი შეამჩნია.

— რა გატირებს?

— მე უდაბნოს ქალი ვარ, — მიუგო ფატიმამ და სახე მოარიდა, — მაგრამ, უწინარესად, მაინც უბრალოდ ქალი ვარ.

ფატიმა კარვის ფარდას მიეფარა. უკვე ირიჟრაჟა კიდეც, ცისპირი იძრა. გათენდება თუ არა, ფატიმა კარვიდან გამოვა და კვლავაც იმ საქმეს მიჰყოფს ხელს, რასაც ამდენხანს იქმოდა, ოღონდ აწ ყველაფერი სხვანაირი გახდება. სანტიაგო ოაზისში აღარ იქნება, და ოაზისი მიჯნურის თვალში ძველ მნიშვნელობას დაკარგავს. ოაზისი ადრე იყო, თანაც სულ ახლახან, ის ადგილი, სადაც ორმოცდაათი ათასი ფინიკის პალმა ხარობდა, სადაც სამასი ჭა იყო, საითკენაც სიხარულით მოიჩქაროდნენ გრძელგზაგამოვლილნი დაქანცულნი მგზავრნი. დღეის ამას იქით ოაზისი ფატიმასთვის ცარიელ ადგილად დარჩება.

ამიერიდან ბევრად მეტ მნიშვნელობას შეიძენს უდაბნო. ფატიმა თვალს აღარ მოაშორებს და სულ იმის ცდაში იქნება, ეგება როგორმე გამოიცნოს, რომელ ვარსკვლავს ასდევნებია თავისი უნჯ-განძის საძებნელად მიმავალი სანტიაგო. ფიქრმგლოვიარე უდაბნოს ასული ამბორს ქარს გაატანს ხოლმე იმ იმედით, რომ ის სულიერი კოცნა მიჯნურის სახეს შეეხება და უამბობს, შენი სიყვარული ცოცხალია, შენს მოლოდინში ათენებს და აღამებსო. ამიერიდან უდაბნოს ფატიმასთვის მხოლოდ ერთი აზრი ექნება: იქიდან სანტიაგო უნდა დაუბრუნდეს.

* * *

— უკან რაც დარჩა, იმაზე არც იფიქრო, — უთხრა ალქიმიკოსმა, ქვიშნარს რომ გაუყვნენ, — ყოველივე უკვე აღბეჭდილია ქვეყნიერების სულში და იქ იქნება საუკუნოდ.

— ადამიანები უფრო მეტად დაბრუნებაზე ოცნებობენ, ვიდრე წასვლაზე, — მიუგო სანტიაგომ, რომელიც ხელახლა ეჩვეოდა უდაბნოს მდუმარებას.

— რაც გიპოვია, თუ ფარსაგი მასალისგან ქმნილია, ვერცრა წაახდენს. და დაბრუნებაც თამამად შეგიძლია, ხოლო თუ წამიერი გაელვება იყო, ვარსკვლავის დაბადების მსგავსი, მაშინ დაბრუნებულს არცრა დაგხვდება. სამაგიეროდ თვალისმომჭრელი ნათების ხილვაც საქმეა.

ის თითქოს ალქიმიაზე ლაპარაკობდა, მაგრამ სანტიაგოს ესმოდა, რომ თვალქვეშ ფატიმა ჰყავდა.

ძნელი იყო, უკან რაც დარჩა, იმაზე არ ეფიქრა. უდაბნოს ერთფეროვანი ლანდშაფტი სწორედ უკან დარჩენილს აგონებინებდა და თანაც აოცნებებდა. ვერა, თვალიდან ვერ იშორებდა სანტიაგო ვერც ფინიკის პალმებს, ვერც გვიმიან ჭებსა და ვერც სატრფოს სახეს. თვალცხადლივ ხედავდა ინგლისელსაც თავის კოლბებიანად და სინჯარებიანად, ხედავდა ბრძენ მეაქლემესაც, რომელმაც სულაც არ უწყოდა თავისი სიბრძნის ამბავი. „ალქიმიკოსს, ალბათ, არცვინ არცროდის ჰყვარებია“, — გაიფიქრა სანტიაგომ.

ის კი ოდნავ წინ მიდიოდა, ჩორთით მიჰყავდა სინიბი, მხარზე შევარდენი ესვა, უდაბნოს ენას უებროდ დაუფლებული ბაზი, და, როცა ჩერდებოდნენ, შევარდენი უმალ ჰაერში აიჭრებოდა ხოლმე მოსანადავლებლად. პირველ დღეს ბრჭყალებში კურდღელი მოექცია, ისე მოფრინდა, მეორე დღეს — ორი ფრინველი მოენადავლებინა.

ღამღამობით ძირს საფენს რასმე იფენდნენ, სნატს, ცეცხლს არ ანთებდნენ, თუმცა ღამეები უდაბნოში ცივი იყო, და მთვარის დალევის კვალობაზე სიბნელეც სულ უფრო კუნაპეტდებოდა. ლაპარაკით მთელი პირველი კვირა მხოლოდ იმაზე ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს დარეულ ტომებს როგორ არიდებოდნენ. ომი არ ცხრებოდა, ქარს ხან სისხლის მოტკბო სუნი მოჰქონდა, სადღაც არცთუ შორს სიკვდილს კალო ება და ქარი წამისწამ ახსენებდა გზაზე გადებულ ჭაბუკს, რომ ამქვეყნად არის ნიშნების ენა, რომელ ენასაც ყოველთვის შეუძლია იმის მოყოლა, რასაც თვალები ვერა ხედავენ.

მგზავრობის მერვე დღეს ალქიმიკოსმა დაფერხება ჩვეულებრივზე ადრე გადაწყვიტა. შევარდენი ცაში აიჭრა. ალქიმიკოსმა სანტიაგოს წყლით სავსე მათარა მიაწოდა.

— შენი გზა-გზა სიარული დასასრულს უახლოვდება, — უთხრა მან, — გილოცავ. შენი გზისთვის არ გადაგიხვევია.

— შენ კი მთელი გზა დუმდი. მართალი გითხრა, მეგონა, რაც იცი, ყველაფერს მასწავლიდი. მე უკვე მომიხდა უდაბნოში ხეტიალი ერთ კაცთან ერთად, რომელსაც კარგა ბლომად ჰქონდა ალქიმიის წიგნები. მაგრამ იმ წიგნებიდან ვერც ვერაფერი გავიგე.

თარგმნა
ზურაბ გოგიაშვილმა.

(გაგრძელება იქნება)

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## დისკუსია

# „მძღოლი და საგზაო პოლიციელი — ახალი დრო, ახალი ურთიერთობები“

პროფესიონალი მძღოლი ძალიან ცოტაა.

პროფესიონალის მოწმობის (საბუთის) მქონე — ზომაზე მეტი.

მოყვარულები ხომ იმდენია, ვერც დათვლი. ამ ღარიბ საქართველოსა და მის დედაქალაქში ლამის ყოველი მეორე კაცი მანქანით დადის.

მოზრდილმა გოგონებმა და ქალბატონებმაც მოირგეს საჭე და მათთვის კანონი და კანონიერება, ქუჩაში მოძრაობის წესები და ავტოინსპექტორი, თითქმის, არ არსებობს...

ფეხით მოსიარულეთა თვითნებობის ფაქტებს ვერსად იმდენს ვერ ნახავთ, რამდენსაც თბილისის ქუჩებში. მათთვის წითელი შუქნიშანი და მიწისქვეშა გადასასასვლელი რა მოსატანია...

ბევრი რომ არ გავაგრძელო, თუ გინდათ დარწმუნდეთ, რა უწესოდ და უკანონოდ ვცხოვრობთ, ქუჩაში მანქანით და ქვეითად მოსიარულეთა ლაშქარს უნდა დააკვირდეთ...

ამიტომაცაა, ყოველთვიურად მატულობს ავარიების შედეგად გარდაცვლილთა და დასახიჩრებულთა რიცხვი.

ყოველდღიურად მატულობს მავნე გამონაბოლქვების რაოდენობა და ტოქსიკური სმოგი ნორმალურად სუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს.

ვწერთ და დაჟინებით ვიმეორებთ, რომ თბილისის ზოგიერთ უბანში ჰაერის გაჭუჭყიანება დასაშვებ ნორმას 20-ჯერ აღემატება, მაგრამ... რას გააწყობ, ტექნიკური ცივილიზაცია აღმავლობის გზით მიდის, — ყოველწლიურად თბილისს საზღვარგარეთიდან შემოყვანილი (უკვე საჯართედ გამეტებული) 10.000 ერთეული სხვადასხვა მარკის მანქანა ემატება!

საქართველო ევროპა-აზიის გზაგასაყარი და აბრეშუმის გზის საკვანძო ქვეყანა გახდა. ჩვენს ვიწრო გზებზე დიდგაბარიტიანი სატვირთო მანქანები დადის... იცოცხლეთ, ქვეყნის ეკონომიკისთვის, საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლებისთვის ეს საკმაოდ მომგებიანი იყოს, მაგრამ, პრობლემებიც რომ გაგვიმრავლდა?

— არ უნდა შევშინდეთ, გარდამავალ ეტაპზე ბევრ ქვეყანას, განსაკუთრებით, პოსტსაბჭოურ სივრცეში, ეს სენი სჭირს, მაგრამ ფარხმალს არ ჰყრიან. ვისწავლოთ კანონისადმი მორჩილება, ბიუჯეტის შევსება, გავითვალისწინოთ სხვათა გამოცდილება და თანდათან გვეშველება, — თქვა ამას წინათ კულტურისა და ხელოვნების ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გამართულ დისკუსიაზე ამ ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა თემურ ქლენტმა.

**დისკუსია მოეწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, საერთაშორისო გამოცდილების შესწავლისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის კომისიების და ქალაქ თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ინიციატივით.**



დისკუსიის თემატიკა, — „მძღოლი და საგზაო პოლიციელი — ახალი დრო, ახალი ურთიერთობები“, მოიცავდა ისეთ გლობალურ, მართლაც პრობლემურ თემებს, როგორიცაა მძღოლის და საგზაო პოლიციის (ცალ-ცალკე) უფლება-მოვალეობები, კორუფცია საგზაო პოლიციაში, პოლიციის უფლებათა დაცვა, გზებისა და გზაჯვარედინების მდგომარეობა, შუქნიშნები, საგზაო მონიშვნები, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელები, ეკოლოგიური პრობლემები, მასმედიაში საგზაო უსაფრთხოების პროპაგანდა და ა. შ.

მთავარი მომხსენებელი და დაინტერესებულ პირთაგან დასმულ შეკითხვებზე პასუხის გამცემი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი **შალვა ოგბაიძე.**

— ორი თვეა, რაც ამ ურთულესი სამსახურის უფროსად დავინიშნე. თქვენ, ალბათ, ამჩნევთ, რომ საგზაო პოლიციელები ძველებურად გამომწვევად აღარ იქცევიან. ამიერიდან ისინი ქრთამს ვერ აიღებენ, რადგანაც მეორე დღესვე დატოვებენ სამსახურს. თანაც, რიგითი ავტოინსპექტორი „ზევით“ ქრთამს ვერავის მიუტანს. ასეთი „კრიშები“ მათ არ ჰყავთ. ყველაფერს ვაკეთებთ საიმისოდ, რომ საგზაო პოლიციელებს ნორმალური ხელფასი ჰქონდეთ. ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები და მკაცრი საშემსრულებლო დისციპლინა, — აი, ჩვენი ურთიერთობის არსი, — თქვა ბატონმა შალვა ოგბაიძემ და ჩამოთვალა ის სიახლეები, რასაც მოკლე ხანში დაინახავს ჩვენი საზოგადოება: უსაფრთხოების ქამრების აუცილებლობა (ალბათ, 1 აპრილიდან), მანქანების დაზღვევაზე მონოპოლიის მოხსნა (ახლა უკვე სამი სხვადასხვა ფირმა აფორმებს დაზღვევას), მანქანების ყიდვა-გაყიდვაზე ფიქსირებული გადასახადის დაწესება, მართვის მოწმობების გაცემის პროცედურის გამკაცრება, სწავლების ხარისხი ამაღლდება, ამის გარდა, კადრების სელექცია ადამიანურად, ყოველგვარი კონფლიქტების გარეშე განხორციელდება, ავტოინსპექციაში აღდგება საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან შეხვედრის დღე...

დასაწყისისთვის ერთობ კარგია.

შეხვედრა-დისკუსიაზე საინტერესო მოსაზრებები წარმოადგინეს საქართველოს შსს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა **მამია დარჩიამ,** კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციის და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საპატიო დირექტორმა აკადემიკოსმა **ნიკო ხატიაშვილმა,** საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მძლეოსნობის კათედრის გამგემ, პროფესორმა **მამია ტუღუშმა,** საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტმა **ვიქტორ თოდაძემ,** პროფესორმა **გიორგი ბაბუნაშვილმა,** სახელმწიფო საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარემ **რომან დალაქიშვილმა.** ამ უკანასკნელმა მეტად დამაჯერებლად ისაუბრა საქართველოს გზებზე დღეს შექმნილი მდგომარეობის შესახებ და საკმაოდ საიმედო სურათი წარმოგვიდგინა 21.000 კილომეტრი (ქვეყნის წამყვანი მაგისტრალების სიგრძე) გზის საფარის შეკეთების თაობაზე... არადა, ჯერჯერობით, თურმე, თითოეულ კილომეტრზე, ყოველწლიურად, 1000 ლარის დახარჯვის საშუალება გვქონია. ყოველმხრივ კეთილმოწყობილი გზები და მაგისტრალები კი, მოგეხსენებათ, საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა.

შეხვედრაზე „ძველი“ პრობლემები კიდევ ერთხელ წამოსწია წინა პლანზე არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციის „პოლიციელი, მძღოლი, სამართალი“ კოორდინატორმა **რობერტ იანტბელიძემ.** მათ შორის მთავარი იყო საქართველოს საშუალო სკოლებში სპეციალური საგნის, გნებავთ, სპეცკურსის — ქუჩაში მოძრაობის წესების“ შემოღების შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ გადაწყვიტა განათლების სამინისტრომ, მაგრამ, რატომღაც, პრაქტიკულად ვერ განახორციელა. ამიტომ, აქვე გთავაზობთ პუბლიკაციას რუბრიკით — „ვუბრუნდებით დაბეჭდილს“...

**სპარტაკ ძოწულია.**

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# ვასწავლოთ ბავშვებს საგზაო მოძრაობის წესები!




**2001 წლის 16 მარტის ნომერში, თქვენს გაზეთში, რუბრიკით „წინადადება“, გამოქვეყნდა ჩვენი ორგანიზაციის კონსულტანტების — რობერტ იანტბელიძის და ვალერიან ლეკიაშვილის წერილი სათაურით „დიდი, საჭირო, გადაუდებელი საქმე“, სადაც წერილის ავტორები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საგზაო მოძრაობის წესების სწავლების აღდგენის აუცილებლობაზე საუბრობდნენ.**

განათლების სამინისტროში წარვადგინეთ ჩვენი ორგანიზაციის მიერ მომზადებული რობერტ იანტბელიძის წიგნი „საგზაო მოძრაობის წესები“, რომელსაც მიენიჭა შესაბამისი გრიფი და დამტკიცდა კლასგარეშე სახელმძღვანელოდ V-VI კლასების მოსწავლეთათვის.

ხსენებულ პუბლიკაციას, თქვენივე გაზეთის 20 აპრილის ნომერში მოჰყვა განათლების სამინისტროს შესაბამისი პასუხი რუბრიკაში „გვეხმაურებიან“ სათაურით — „საგზაო მოძრაობის წესებს 20-საათიანი კურსი დაეთმობა“.

ჩვენი დიდ მცდელობის მიუხედავად, ვერა და ვერ მოხერხდა განათლების სამინისტროში ვერც ერთი მაღალი რანგის ხელმძღვანელთან შეხვედრა ან მათგან წერილობითი პასუხის მიღება, თუმცა არაერთხელ გამოქვეყნდა ჩვენი პრეტენზიული წერილები აღნიშნულთან დაკავშირებით სხვადასხვა გაზეთში („კვირის პალიტრა“, „ასავალ-დასავალი“, „24 საათი“, „ხვალინდელი დღე“, „მებრძოლი გუშაგი“, „იბერია თაიმსი“).

კიდევ ერთი კურიოზი ის გახლავთ, რომ აღნიშნული სახელმძღვანელოს სწავლება 2003-2004 წლების განაცხადშიც არის გათვალისწინებული!

აღნიშნული საკითხის გადაჭრის აუცილებლობაზე კიდევ ერთხელ გამახვილდა ყურადღება 2004 წლის 13 თებერვალს შსს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის, რესპუბლიკის საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს და სხვა უწყებების მიერ გამართულ რესპუბლიკურ თათბირზე.

ვფიქრობთ, განათლების სამინისტროს ახალი ხელმძღვანელის დანიშვნასთან დაკავშირებით, კვლავ თქვენი გაზეთის საშუალებით აღნიშნული საკითხის დაყენება დადებით შედეგს გამოიღებს.

სკოლაში საგზაო მოძრაობის წესები აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს!

**არასამთავრობო ორგანიზაცია „პოლიციელი, მძღოლი, სამართალი“.**

## მსოფლიო შტრიხებში

### წინაპრებით მდიდარი



დაბა სონდრიოში დაიბადა ბიჭი, რომელსაც აქ, იტალიაში ყველაზე მეტი ცოცხალი წინაპარი ჰყავს.

ჩვილ ნიკოლას კრისტინის, ახალგაზრდა მშობლების გარდა, ჰყავს ბებიები და პაპები, მშობლების ბებიები და პაპები, აგრეთვე მათი მშობლები, საერთო ანგარიშში 13 ადამიანი, რომელთაგან ყველაზე მხცოვანი ქალბატონი პიერინა 101 წლისაა.

ადგილობრივი მერია ამასთან დაკავშირებით აპირებს დიდი ზეიმის მოწყობას. ახლა პატარა ნიკოლასი უკვე ღებულობს პირველ საჩუქრებს, საიდანაც გამოირჩევა ფეხბურთის ბურთი და ბუცები.

აქამდე იტალიის რეკორდი ეკუთვნოდა გოგონას კუნძულ აგრიჯენტოდან, რომელსაც ცოცხალი 11 წინაპარი ჰყავს.

### დააპატიმრეს... თოვლისთვის

კანადის ქალაქ ედმონტონში ადგილობრივმა პოლიციამ დააპატიმრა და მთელ დღე-ღამეს განყოფილებაში აყურყუტა 69



წლის ქალი, რადგან მან უარი თქვა თავისი სახლის წინ თოვლის გახვეტაზე, როგორც ამას იქაური კანონმდებლობა მოითხოვს.

ხანდაზმულმა ქალბატონმა უარი თქვა ჯარიმად 85 კანადური დოლარის გადახდაზეც, რადგან მიაჩნია, რომ კანონი გამონაკლისს არ აკეთებს მხცოვანი და მარტოხელა ადამიანებისთვის.

„დებოშიორმა“ განაცხადა, რომ უნდოდა საზოგადოებრიობის ყურადღება მიექცია, მისი აზრით, არასამართლიან სიტუაციაზე, რადგან ხანდაზმულ, მარტოხელა ადამიანებს ძალზე უჭირთ თოვლის ხვეტა, მით უმეტეს, რომ დიდთოვლობა კანადაში ჩვეულებრივი მოვლენაა.

### კუბური ქათამი — გინესის წიგნში



უზარმაზარი კვერცხი, 148 გრამს რომ იწონის, დადო ქათამმა კუბის ქალაქ ლასტუნასეში. ეს ყველაზე მძიმე ქათმის კვერცხია მსოფლიოში. თანაც ამ კვერცხის შიგნით კიდევ ერთი უფრო პატარა კვერცხი აღმოჩნდა. ასე რომ, კვერცხი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა.

აქამდე მსოფლიო რეკორდი ეკუთვნოდა კოსტა-რიკულ ქათამს, რომელმაც შარშან ოქტომბერში 110-გრამიანი კვერცხი დადო. სხვათა შორის, 75-გრამიანი კვერცხი უკვე მსხვილად ითვლება.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 44, კვირა, 22 თებერვალი, 2004 წელი.

# საყოველთაო არჩევნები ერაყში მომავალ წელს გაიმართება

**ერაყში საყოველთაო არჩევნების გამართვა ჯერჯერობით შეუძლებელი იქნება კიდევ 12-15 თვის განმავლობაში. ეს განაცხადა დუბაის „ალ-არაბიის“ ტელეარხისათვის მიცემულ ინტერვიუში ერაყში ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ადმინისტრაციის მეთაურმა პოლ ბრემერმა.**

ტელეარხის ახალი ამბების გამოშვებამ მოიყვანა რამდენიმე ციტატა ინტერვიუდან. ბრემერმა, კერძოდ, თქვა, რომ შეფერხება არჩევნების გამართვაში გამოწვეულია „სერიოზული ტექნიკური მიზეზების გამო“.

ამ მიზეზთა შორის ბრემერმა დაასახელა „ერაყში არჩევნების შესახებ კანონის უქონლობა, კომისიის არარსებობა, რომელიც მიიღებდა კანონს პოლიტიკური პარტიების საქმიანობის შესახებ, ამომრჩეველთა სიების უქონლობა, მოსახლეობის რაოდენობისა და ეთნიკური შემადგენლობის შესახებ სარწმუნო მონაცემების არარსებობა და სხვა“. როგორც ვარაუდობენ, ამერიკის შეერთებული შტატები ერაყელებს ხელისუფლებას გადასცემს მიმდინარე წლის 30 ივნისს. ერაყის შიიტური უმრავლესობის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არჩევნებიც სწორედ 30 ივნისამდე უნდა გაიმართოს.



# ირანში ჯერჯერობით კონსერვატორები ლიდერობენ

**ირანში პარასკევს გამართული პარლამენტის არჩევნების წინასწარი შედეგების დაანგარიშება ცხადყოფს, რომ მეჯლისში ადგილების უმრავლესობას კონსერვატიული ძალები მოიპოვებენ.**

ირანის რეფორმატორული პარტიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მუსტაფა თაჯზადემ „ფრანს-პრესის“ სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში აღიარა კონსერვატორთა გამარჯვება, თუმცა, დასძინა, რომ კონსერვატორები ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 15 პროცენტის მხარდაჭერით თუ სარგებლობენ.

როგორც ჩანს, კონსერვატორები გონს მოეგნენ 2003 წლის არჩევნებში განცდილი გამანადგურებელი მარცხის შემდეგ, რომელშიც დიდ გამარჯვებას მიაღწიეს რეფორმატორებმა.

კონსერვატორთა გამარჯვება მოსალოდნელი იყო. მათი ოპონენტები რეფორმატორთა ბანაკიდან ამტკიცებდნენ, რომ კენჭისყრის შედეგები უკვე წინასწარ იყო განსაზღვრული მას შემდეგ, რაც ისლამური რევოლუციის გუშაგთა კონსერვატიულმა საბჭომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ დართო დემოკრატიულად განწყობილ მრავალ კანდიდატს.



ქვეყნის პატარ-პატარა ოლქებიდან და პროვინციებიდან მიღებული წინასწარი შედეგები, როგორც ჩანს, სწორედ ამას მიანიშნებს. მაგრამ, რეფორმატორ-კანდიდატთა უმრავლესობა პარლამენტში ადგილების მოპოვებისთვის დიდ ქალაქებში იბრძვის, ამიტომ, საბოლოოდ სურათი გამოიკვეთება მოგვიანებით, ბიულეტენების დათვლის დასრულების შემდეგ.

მაშინ, როცა დემოკრატიული ყაიდის ზოგიერთი პოლიტიკური პარტია მოსახლეობას არჩევნების ბოიკოტისათვის მოუწოდებდა, რეჟიმისადმი ლოიალური ჯგუფები კი არწმუნებდნენ ირანელებს, რომ აუცილებელი იყო საარჩევნო უბნებში მისვლა, ქვეყანაში ძირითადი ყურადღება გაამახვილეს ამომრჩეველთა აქტიურობაზე.

ჯერჯერობით ოფიციალური მონაცემები არ არსებობს, მაგრამ კონსერვატორთა კონტროლსდაქვემდებარებული სახელმწიფო მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან, რომ ამომრჩეველთა აქტიურობა დიდი იყო.

# ლიბანი მოიპოვებდა პლუტონიუმს

**ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (მაგატე) მონაცემებით, „შავ ბაზარზე“ ნაყიდი ტექნოლოგიების მეშვეობით ლიბანმა შეძლო ეწარმოებინა მცირე რაოდენობის პლუტონიუმი.**

„მაგატეს ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ტრიპოლი, საკუთარი ბირთვული იარაღის შემუშავების პარალელურად, გამდიდრებული ურანის იმპორტსაც ახორციელებდა.

მაგატეს მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ ლიბანმა აწარმოვა მცირე რაოდენობის პლუტონიუმი, თუმცა, კონკრეტულ რაოდენობაზე დოკუმენტში არაფერია აღნიშნული. მაგრამ, მიაჩნიათ დიპლომატებს, რომ ესეც საკმარისი იყო ბირთვული ბომბის შესაქმნელად.

ლიბიამ საერთაშორისო ორგანიზაციებს დაუმალა შეიარაღებულ წარმოებასთან დაკავშირებული მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ექსპერიმენტების განხორციელების ფაქტი.

მაგატეს სპეციალისტთა აზრით, ის ფაქტი, რომ ლიბიის ხელმძღვანელობა წინათ საიდუმლოდ ინახავდა ბირთვულ სფეროში განხორციელებულ გამოკვლევებს, მიანიშნებს იმას, რომ ქვეყანა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არღვევდა შეთანხმებას გარანტიების შესახებ, რომელიც ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

2003 წელს ლიბიამ განაცხადა, რომ ხელს იღებს ბირთვული იარაღის შემუშავების გეგმების განხორციელებაზე. თავის მოხსენებაში მაგატე იწონებს ტრიპოლის ასეთ ნაბიჯს და აღნიშნავს, რომ ამის შემდეგ ლიბიის ხელმძღვანელობა მეტ გულახდილობას იჩენს და უფრო აქტიურად თანამშრომლობს სააგენტოსთან.




მოხსენება მოამზადა მაგატეს გენერალურმა დირექტორმა მოჰამედ ელ-ბარადეიმ სააგენტოს მმართველთა საბჭოს სხდომის წინ. ეს შეხვედრა მარტში უნდა გაიმართოს.

ამჟამად მაგატე თვალყურს ადევნებს იმ მოწყობილობის დემონტაჟის პროცესს, რომელსაც ლიბია იყენებდა თავისი საიდუმლო პროგრამების ფარგლებში.




# აშშ საიდუმლო სამსახურმა დაცვა დაუწესა ჯონ კერის

**ამერიკის შერთებული შტატების საიდუმლო სამსახურმა, რომლის ფუნქციებშიც შედის ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირების უშიშროების დაცვის უზრუნველყოფა, დაუწესა დაცვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტის პრეტენდენტს დემოკრატიული პარტიისაგან ჯონ კერის.**

როგორც ამ სამსახურის წარმომადგენელმა ტონ მაზურმა განაცხადა, „ასეთი სახის დაცვას გამოუყოფენ კანდიდატს, თუ იგი თვითონ მოისურვებს ამას“.

შეერთებული შტატების კანონები კანდიდატს უფლებას აძლევს, ისარგებლოს საიდუმლო სამსახურების თანამშრომელთა მომსახურებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი საყოველთაოდ ცნობილი პირია, რაც უნდა დაადასტუროს მთელმა რიგმა სოციოლოგიურმა გამოკითხვებმა.

# გამოაცხადეს ტერორისტული საფრთხის უმაღლესი დონე

**იაპონიის მთავრობამ გამოაცხადა ტერორისტული საფრთხის უმაღლესი დონე. უშიშროების ღონისძიებები გამკაცრებულია 650 ობიექტზე მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის ატომურ ელექტროსადგურებში, აეროპორტებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში. ამ ობიექტების დასაცავად დამატებით გამოჰყვეს შეიარაღებული ნაწილები.**

როგორც ტოკიოს პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, უშიშროების გადიდებული ზომები მიღებულია, აგრეთვე, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ძიუნიტირო კოიძუმის რეზიდენციის, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შენობის, სარკინიგზო ვაგზლების, საზღვაო ნავსადგურებისა და დიდი სუპერმარკეტების დასაცავად.

ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს მას შემდეგ, რაც იაპონიამ გაგზავნა სამხედრო კონტინგენტი ერაყში და ახლა ქვეყნის ხელისუფლება ცდილობს თავი დაიზღვიოს შესაძლო ტერორისტული აქტებისგან, აღნიშნა პოლიციის წარმომადგენელმა.

მთავრობის გაფრთხილებამ უშიშროების არნახული ზომების შემოღების შესახებ, დიდი მღელვარება გამოიწვია ფინანსურ ბაზრებზე, სადაც იენის კურსი დოლარის მიმართ დაეცა ამ უკანასკნელი 10 კვირის განმავლობაში რეკორდულად დაბალ ნიშნულამდე.

იაპონიის ხელისუფლებამ ტერორისტული საფრთხის დონე უკანასკნელად უმაღლეს საფეხურამდე გაზარდა გასული წლის მარტში, როცა ერაყში დაიწყო საომარი მოქმედება.

შეგახსენებთ, რომ 17 თებერვალს, ტოკიოში, იაპონიის თავდაცვის სამინისტროს შენობასთან მოხდა ორი აფეთქება.



# დაიბადა ბავშვი, რომელიც ასხივებს ელექტრონულ განმუხტვას

**ეგვიპტელი მეცნიერები საგონებელში ჩააგდო ახალშობილმა, რომელსაც სხეულის გადიდებული ელექტროგამტარობა აქვს. თვენახევრის მუჰამედ ალ-აზიზი ასხივებს განმუხტვას, რომელიც თავისი სიძლავრით ელექტრონული ხელკეტის ძალას შეიძლება შევადაროთ.**



ეგვიპტის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა მუჰამედ თაგ ედ-დინმა გასცა ბრძანება ბავშვის ქალაქ ჰელუანის სამედიცინო-კვლევით ცენტრში მოთავსების შესახებ, სადაც შეისწავლიან ამ ფენომენს.

სპეციალისტების წინასწარი დასკვნა ასეთია: ახალშობილი გახდა მისი მამის მობილური ტელეფონის მსხვერპლი. ყურმილი ბავშვის საწოლთან იდო, და, როგორც ჩანს, შვილის ორგანიზმმა შეიწოვა აპარატის მძლავრი ელექტრომაგნიტური გამოსხივება. თუმცა, მედიკოსები დარწმუნებული არიან, რომ მთავარი როლი მაინც შეასრულეს მუჰამედის ორგანიზმის ინდივიდუალურმა მახასიათებლებმა.

მაგალითად, ბრიტანელ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მობილური ტელეფონების ელექტრომაგნიტური ველი საზიანოა მხოლოდ იმათთვის, ვისაც ამის მიმართ გენეტიკური მიდრეკილება აქვს. ცნობილია ისიც, რომ ბავშვები მოზრდილებზე მეტად განიცდიან ფიჭური ტელეფონების გამოსხივების ზემოქმედებას.

# განსაზღვრეს სამყაროს დაღუპვის სავარაუდო დრო

**ჩვენი სამყარო, სულ ცოტა, 30 მილიარდ წელს კიდევ იარსებებს. ასეთი დასკვნა გამოიტანეს ამერიკელმა კოსმოლოგებმა, რომლებიც აანალიზებენ ცნობილი კოსმოსური ტელესკოპიდან — „ჰაბლიდან“ მიღებულ ინფორმაციას.**

ამ ინფორმაციის საშუალებით მათ შეკრიბეს მონაცემები ზეახალი ვარსკვლავების აფეთქების შედეგად, მათ შორის, დედამიწიდან ყველაზე მეტად დაშორებული ვარსკვლავებისაც, და დაადგინეს, რომ სამყაროში მოჭარბებული იდუმალებით მოცული „მუქი ენერგიის“ ზემოქმედება, რომელიც, როგორც ითვლება, აჩქარებს გალაქტიკების გაფანტვას სხვადასხვა მიმართულებით, მუდმივ დონეზე რჩება.

თანამედროვე მეცნიერთა წარმოდგენით, გალაქტიკების დაჩქარებული გაფანტვა, რაც შედარებით ცოტა ხნის წინათ აღმოაჩინეს, უკავშირდება მხოლოდ „მუქ ენერგიას“, რომელიც წინააღმდეგობას უწევს მიზიდულობას და ამის გამო კოსმოსური სხეულებიც ერთმანეთთან დაახლოვების ნაცვლად, იფანტებიან.

ეს აღმოჩენა, ფაქტობრივად, ადასტურებს, რომ თავის დროზე არ შემცდარა ალბერტ აინშტაინი, რომელმაც თავისი ალბათობის ზოგადი თეორიის სახელგანთქმულ განტოლებაში შეიტანა ეგრეთ წოდებული კოსმოსური მუდმივა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო სამყაროს ყოფნა სტაციონარულ მდგომარეობაში, მსოფლიო მიზიდულობის იმ ძალების ზემოქმედების კომპენსირებით, სამყაროს შეკუმშვას რომ ცდილობენ.

მოგვიანებით, როცა აღმოაჩინეს, რომ სამყარო ფართოვდება, დიდმა მეცნიერმა ამ მუდმივას შემოღებას თავისი ყველაზე დიდი შეცდომა უწოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, აინშტაინი არ შემცდარა, მან შეძლო ჩაწვდომოდა ჩვენი სამყაროს ცხოვრების კანონთა არსს.



**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
ზაზა ბეჟანიძემ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სპორტი

ჭიდაობა

# ბოლო ცდაზე აღებული სიმაღლე

**უკვე გაუწყეთ, რომ ქართველ ოლიმპიელთა გუნდს, რომელიც წლეულს ათენში იასპარეზებს, კიდევ ერთი ათლეტი შეემატა — ეს გახლავთ თავისუფალი სტილით მოჭიდავე გელა საღირაშვილი (74 კგ).**

**სავიზიტო ბარათი**

***დაიბადა 1980 წლის 7 ნოემბერს თბილისში. მსს პოლიციის აკადემიის მეოთხეკურსელია. ჭიდაობა დაიწყო 1991 წელს ბიჭიკო პაპაშვილის ხელმძღვანელობით, 2001 წლიდან მარლენ ოსეყმაშვილთან ვარჯიშობს. ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში საქართველოს ოთხგზის ჩემპიონია. 2001 წელს საქართველოს ჩემპიონატში II ადგილი დაიკავა, ხოლო ვლადიკავკაზში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე მესამე იყო. შარშან საქართველოს ჩემპიონი გახდა, ხასავიურტის (დაღესტანი) საერთაშორისო ტურნირის ბრინჯაოს პრიზიორია. ევროპის ჩემპიონატზე მე-8 ადგილი ხვდა, ხოლო ნიუ-იორკში მსოფლიო ჩემპიონატზე ხელი მოეცარა და უსაგზუროდ დარჩა.***

— ამერიკაში განცდილი მარცხის შემდეგ ოლიმპიადაზე გამოსვლის იმედი არ დამიკარგავს, რადგან წინ კიდევ ორი სალიცენზიო ტურნირი მელოდა, — მითხრა ბულგარეთიდან დაბრუნებულმა გელა საღირაშვილმა, — მონდომებით განვაგრძე ვარჯიში ბატონ მარლენ ოსეყმაშვილის ხელმძღვანელობით. ბრატისლავაში გამგზავრების წინ ნაკრების მწვრთნელებმა შესარჩევი ტურნირი მოგვიწყვეს, რადგან ჩემს წონაში რამდენიმე კანდიდატი იყო. ზედიზედ დავამარცხე მიხეილ ხარებავა, გოგა გობეჯიშვილი, ალეკო პატარქალიშვილი და სალიცენზიო ტურნირზე წასვლის უფლებაც მივიღე. სლოვაკეთის დედაქალაქში პირველი ორთაბრძოლა უზბეკ მოჭიდავეს მოვუგე. მერე 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს, უკრაინელ სიროტიჩს ვძლიე 3:2, მეოთხედფინალში კი კანადელ ოლიმპიურ ჩემპიონ იგალისთან წავაგე 1:3.

საგზურის მოპოვების ბოლო შანსი ბულგარეთის სალიცენზიო ტურნირში მომეცა. სოფიაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის — გია გალდავას ხელმძღვანელობით კვლავ მე და ბესიკ გოჩაშვილი გავემგზავრეთ. ამჯერად ჩემთვის ყველაფერი კარგად დამთავრდა. პირველ წრეში უცნობ ჩინელ მოჭიდავესთან მქონდა დაძაბული ორთაბრძოლა და 7:6 დავამარცხე იგი. მეორე შეხვედრაში რუმინელთან შარშან ევროპის ჩემპიონატზე დამარცხებისთვის რევანში ავიღე. მეოთხედფინალში სენეგალელმა მოჭიდავემ,



გელა საღირაშვილი და გია გალდავა.

ფაქტობრივად, მეტოქეობა ვერ გამიწია და 10:0 ვძლიე. ნახევარფინალში იტალიელი სალვატორე რინელას წინააღმდეგობა გადავლახე და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ფინალში გასვლით ლიცენზია მოვიპოვე. მართალია, გადამწყვეტი ორთაბრძოლისას ძალები არ დამიზოგავს, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ 2001 წლის ბულგარელი მსოფლიო ჩემპიონი ნიკოლაი პასლარი ჩემზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა და პირველობაც მას ხვდა. მესამე ადგილზე იტალიელი რინელა გავიდა.

***— ბესიკ გოჩაშვილს რატომ მოეცარა ხელი?***

— ბესო კარგი მოჭიდავეა და გული მწყდება, რომ იგი ათენში ვერ გამოვა. ჯერ იყო და, ნიუ-იორკში საბერძნეთის სახელით მოასპარეზე კარდანოვთან შეხვედრისას იმდენი მოახერხეს არბიტრებმა, რომ ქართველმა ფალავანმა დამარცხებულმა დატოვა სარბიელი. სოფიაშიც გაუგებარი რამ მოხდა: 55 კილოში რატომღაც არ აწონეს სლოვაკი მოჭიდავე, რაც ხელს აძლევდა ბულგარელებსაც და რუსებსაც, რადგან მათი წარმომადგენლები უკეთეს ჯგუფებში მოხვდნენ. ბესომ პირველ შეხვედრაში უნგრელს სძლია. მეორე წრეში კორეელთან სამქულიანი ფანდი არ შეუფასეს და არბიტრებმა ეს ქულები რატომღაც აზიელს დაუწერეს, რითაც ქართველი მოჭიდავე მეოთხედფინალში რუს კანტოევს ჩამოაშორეს. ამ უკანასკნელს კი სამხრეთკორეელის დამარცხება და ათენის ოლიმპიადის საგზურის მოპოვება არ გასჭირვებია.

***— ოლიმპიადამდე დარჩენილ დროში რას აპირებ?***

— ახლა ნაკრებთან ერთად საწვრთნელ შეკრებაზე გავემგზავრები ბორჯომში, სადაც სპეციალური პროგრამით მოვემზადები. აპრილში მსოფლიო თასი გათამაშდება ბაქოში, ხოლო ანკარა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს, ერთ-ერთ შეჯიბრებაზე, ალბათ, მომიწევს გამოსვლა. დანარჩენს კი ნაკრების მწვრთნელები გადაწყვეტენ. ყველაფერს ვიღონებ, რათა ათენში თავი არ შევირცხვინო.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა ვუთხრა ჩემს დამრიგებლებს — ბიჭიკო პაპაშვილს, მარლენ ოსეყმაშვილს, გია გალდავას, ზაზა თურმანიძეს. რომ არა მათი გულისხმიერება და დახმარება, ოცნებას ვერასდროს ავისრულებდი. ვეცდები, მომავალშიც გავამართლო მათი ნდობა.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია.**



ორთაბრძოლის მომენტი.

ვარსკვლავი

# რუი კოშტა ფინალში თამაშზე ოცნებობს

1991 წლის 30 ივნისს ლისაბონის „და ლუშის“ სტადიონზე დიდი ამბები მოხდა — 120 ათასი მაყურებელი პორტუგალიელთა ტრიუმფის მოწმე გახდა, რომლებმაც მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს შორის. გადამწყვეტი გოლი პენალტით გაიტანა 19 წლის მანუელ სეზარ კოშტა რუიმ, რომელიც შემდეგ განთქმული ფეხბურთელი გახდა **რუი კოშტას** სახელით. ამ გუნდს კარლუშ კეიროში ხელმძღვანელობდა, მადრიდის „რეალის“ დღევანდელი მთავარი მწვრთნელი. პორტუგალიის მაშინდელ ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდნენ ფიგუ, ჟოაო პინტუ, ფერნანდუ კოუტუ, აბელ შავიერი და სხვები, რომლებსაც „ფენომენთა თაობას“ უწოდებდნენ. ელოდნენ, რომ ისინი საფეხბურთო სამყაროს გადაატრიალებდნენ, თუმცა ასე არ მოხდა. ჭაბუკები შემდეგში პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებში კი თამაშობდნენ, მაგრამ მათი ყველაზე დიდი მიღწევა ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალში გასვლა იყო. ისე კი „ფენომენთა თაობამ“ დღემდე მოაღწია და, ვინ იცის, რაც აქამდე დაკარგა, ახლა მაინც აინაზღაუროს.



რუი კოშტა, რომელსაც უკვე მსოფლიო ფეხბურთში ერთ-ერთი საუკეთესო ფლეიმეიქერის სახელი აქვს, სამი სეზონის განმავლობაში ლისაბონის „ბენფიკაში“ გამოდიოდა, შემდეგ 7 წელი „ფიორენტინაში“ გაატარა, 2001 წლის ზაფხულიდან კი „მილანში“ თამაშობს. მას ესაუბრება ცნობილი სპორტული ჟურნალისტი, ჟურნალ „კალჩო 2000“-ის კორესპონდენტი ლუკა აკუინო.

**— წლის მთავარი მოვლენა, როგორც ცნობილია, ევროპის ჩემპიონატი იქნება, რომელიც თქვენთან, პორტუგალიაში იმართება. იგი ქვეყანაში დიდ ინტერესს გამოიწვევს?**

— ეს ინტერესი ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ იგრძნობოდა. გულშემატკივრებს ნამდვილი ციებ-ცხელება დაემართათ, ვერ ითმენენ, სანამ შეჯიბრება დაიწყება. ეს ემოციები მაშინაც კი იგრძნობა, როცა ახალი სტადიონები იხსნება.

**— საკუთარ მინდორზე თამაში თქვენც ძლიერ ემოციურ იმპულსს მოგცემთ, გულშემატკივრები ხომ მხურვალედ დაგიჭერენ მხარს. მეორე მხრივ, დიდი პასუხისმგებლობა იტვირთეთ, თქვენ ხომ ქომაგების დიდი ნდობა უნდა გაამართლოთ.**

— რა თქმა უნდა, საკუთარ მინდვრებზე გულშემატკივრები მხოლოდ გამარჯვებას მოელიან და ჩვენზე დიდ ფსიქოლოგიურ ზეწოლას მოახდენენ. ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობის გრძნობა და შევეცდებით, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, გავიმარჯვოთ. ამასთან, იმედი გვაქვს, რომ ეს ზეწოლა გადამეტებულ ფორმებს არ მიიღებს. ჩვენ, ძირითადად, ახალგაზრდული გუნდი გვყავს, ნაკლებ გამოცდილმა მოთამაშეებმა შეიძლება ზომაზე მეტად ინერვიულონ.

**— ამას შეიძლება დავუმატოთ თქვენი მარცხიანი თამაში მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატში. გასაგებია, თქვენც შეეცდებით უკეთესად თამაშს, გულშემატკივრები კი თავისებურ რევანშს ითხოვენ.**

— დიახ, ჩვენ ორმაგი პასუხისმგებლობა გვაკისრია: შინ ვთამაშობთ, ჩვენი გულშემატკივრების წინაშე და ისე უნდა ვიმოქმედოთ, რომ დაივიწყონ ჩვენი მარცხიანი გამოსვლა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატში, თანაც სიხარული უნდა მოვუტანოთ ჩვენს ხალხს.

**— თქვენ ხომ მშვენივრად ითამაშეთ ევროპის 2000 წლის ჩემპიონატში, სადაც ნახევარფინალამდე მიხვედით. საეჭვო პენალტით წაგებამ საფრანგეთის ნაკრებთან თქვენი მხრიდან სასტიკი პროტესტი გამოიწვია. ესეც ხომ არავის დავიწყებია.**

— რა თქმა უნდა, ამის დავიწყება შეუძლებელია, კარგად გვახსოვს, რომ იმ ტურნირში ჩინებულად ვითამაშეთ და მხოლოდ იმ პენალტმა დაგვატოვებინა შეჯიბრება.

**— პორტუგალიელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, კიდევ რომელ გუნდებს აქვთ, თქვენი აზრით, ევროპის ჩემპიონატში გამარჯვების შესაძლებლობა?**

— ამ მხრივ სიურპრიზებს ნუ ველით. პირველ რიგში, დავასახელებდი ცნობილ ფავორიტებს. ისინი, ჩემი აზრით, არიან იტალია, ესპანეთი და საფრანგეთი.

**— როგორც ორგანიზატორი ქვეყანა, პორტუგალია განთავისუფლდა შესარჩევი მატჩებისგან. ამასთან, ისე მოხდა, რომ მთელი ორი წლის განმავლობაში ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე, თქვენ არც ერთ ოფიციალურ მატჩს არ მართავთ. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს გარემოება ნაკრების შედეგებზე უარყოფითად იმოქმედებს?**

— ამავე დროს ეს, გარკვეული გაგებით, კარგიც არის და, აი, რატომ: მსოფლიო ჩემპონატის შემდეგ ჩვენი ნაკრების შემადგენლობა საგრძნობლად შეიცვალა. ჩვენს რიგებში ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე გამოჩნდა. საჭიროა, მათ რამდენიმე არც ისე ძნელი მატჩი გამართონ, რათა გუნდს თანდათანობით შეეწყონ. ახლა ისინი დიდ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ და თავისუფლად თამაშობენ. სულ სხვა ვითარება იქნებოდა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში რომ გამოსულიყვნენ. ის ვეტერანები კი, რომლებიც დიდი ხანია უმაღლეს დონეზე გამოდიან, ამ ამხანაგურ მატჩებში თავის ნამდვილ ძალას არ აჩვენებდნენ, ფაქტობრივად, ვარჯიშობდნენ. მე ვფიქრობ, ყველა იმ ცვლილების გათვალისწინებით, რაც ნაკრებში მოხდა, ოფიციალური მატჩების გაუმართაობა მაინც დადებითი მოვლენა იყო. ჩვენ კარგად მომზადებულნი შევხვდებით ევროპის ჩემპიონატს.

**იხ. მე-10 გვ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

მემორიალი



1962 წელი, ბაკურიანი.
გურამ ფანჯიკიძე და შოთა იამანიძე.

# გურამ ფანჯიკიძის სახელობისა

**გამოჩენილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა გურამ ფანჯიკიძემ ფეხბურთის გამორჩეული სიყვარული სპორტის საყვარელი სახეობისადმი მიძღვნილი მრავალი წიგნის დასტამბვით გამოხატა. ცალკე საუბრის თემაა მისი განსაკუთრებული მეგობრობა თბილისის „დინამოს“ ლეგენდარულ კაპიტან შოთა იამანიძესთან.**

საგულისხმოა, რომ პირუთვნელი კალმოსნის ხსოვნას სათუთად ინახავენ ნაძალადევის რაიონში, სადაც ყოფილი სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ტერიტორიაზე განთავსებული „გეორგიას“ ოლიმპიური მომზადების ცენტრში (დირექტორი – საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი ჟანი ლეჟავა) სისტემატურად იმართება მისი მემორიალი მოზარდთა და ბავშვთა მონაწილეობით. ტრადიცია არც წლეულს დარღვეულა – ასპარეზობაში 1990 წელს დაბადებულ ჭაბუკთა 14 გუნდი ჩაება. გაუწყებთ გადამწყვეტი მატჩების შედეგებს: ფინალი. „გეორგია“ (მწვრთნელი **მერაბ მდივნიშვილი**) – „სიხარული“ (**შუქრი ჭუმბურიძე**) 1:0; შეხვედრა III ადგილისთვის. „იბერია“ (**გურამ ხეცურიანი**) – „ოლიმპი“ (**გია ჯმუხაძე**) 1:0.

ბუნებრივია, ტურნირის ორგანიზატორებმა ამჯერადაც არაერთი სახელობითი პრიზით დააჯილდოვეს საუკეთესო მობურთალნი. გაგაცნობთ მათ მფლობელებსაც: ლაშა გაბაშვილი („მეტრო“), ილია კერესელიძე („ირაო“), სერგო გაბესკელიანი („იბერია“), ნოდარ ქებაძე („ცხუმი“), დათო ლოხიშვილი („ოლიმპი“), გიორგი ალთუნაშვილი, გიორგი მაისურაძე, ამირან სამხარაძე და გიორგი ედიშერაშვილი (ყველანი – „გეორგია“). ყველაზე პერსპექტიულ გუნდად „ოლიმპის“ ნორჩთა კრებული მიიჩნიეს.

ახლა კი ორიოდე სიტყვა შეჯიბრების აღმოჩენის შესახებ – ეს გახლავთ „ცხუმის“ წევრი ნატალია მატვეევა (!), რომელიც გააზრებული მოქმედებით, ტექნიკითა და სისწრაფით ბევრ ბიჭუნას სჯობდა. კომპეტენტურ ჟიურის უყურადღებოდ არ დაუტოვებია ეს ფაქტი და ნიჭიერ ქალიშვილს ცნობილი სპორტული ჟურნალისტის შალვა ქირიას პოპულარული გამოცემა „ვარდები მიხელ მესხისათვის“ უსახსოვრა.

მემორიალის დასრულების შემდეგ გურამ ფანჯიკიძის მეუღლემ, მთარგმნელმა ქალბატონმა დალი ფანჯიკიძე-კოკაიამ განაცხადა: „დიდი მადლობა ბატონ ჟანი ლეჟავას, რომელიც ყოველწლიურად მართავს ტრაგიკულად დაღუპული ჩემი მეუღლის ხსოვნის ტურნირს. გულდასაწყვეტია, რომ იგი დღემდე ერთხელაც არ შეიტანეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ბავშვთა ტურნირების ოფიციალურ კალენდარში – გურამ ფანჯიკიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ფეხბურთის განვითარების საქმეში და, ვფიქრობ, იგი ნამდვილად იმსახურებს გახსენებას. ურიგო არ იქნება, თუ მომავალში ანალოგიურ ასპარეზობას რომელიმე ტელეარხიც გააშუქებს“.

**შალვა ძორიძე.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**



მემორიალის გამარჯვებული „გეორგიას“ გუნდი.



ნატალია მატვეევა ძვირფასი რელიკვიით.



ჟანი ლეჟავა ჩვეულ ამპლუაში.

მხედარი

# ოძელაშვილის გვარისა

**ჩვენი წერილის გმირს ვალიკო ოძელაშვილს გაისად 70 წელი უსრულდება. აქედან ნახევარ საუკუნეზე მეტი – 55 წელი მან ცხენოსნობას მიუძღვნა.**

რა გასაკვირია, რომ ძველქართული გვარის ვაჟკაცს ბავშვობიდანვე იტაცებდა ხტომები – ცხენით დაბრკოლებათა გადალახვა. საყვარელ საქმეს დელისის იპოდრომის საცხენოსნო სპორტკლუბ „სპარტაკში“ გერმანელმა ოსკარ როგემ აზიარა, ხოლო მოგვიანებით მიხეილ მოისეევ-ჩერკასკი ავარჯიშებდა.



ცხენის გაწვრთნის უმაღლეს სკოლაში დაოსტატების შემდეგ 1958 წელს პირველ სერიოზულ წარმატებას მიაღწია და რესპუბლიკური პირველობის ორგიტიანი კონკური მოიგო დაბრკოლებათა გადალახვაში. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ნახტომის შესრულებისას მან 197-სანტიმეტრიანი წინაღობა დაძლია და საქართველოს რეკორდსმენი გახდა. ბრწყინვალე გამარჯვებისთვის რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ გიორგი სიხარულიძემ ახალგაზრდა მხედარი ოქროს საათით დაასაჩუქრა.

მისი სპორტული კარიერის მომდევნო ეტაპი საქართველოს სპორტკომიტეტის საცხენოსნო ბაზაზე მოღვაწეობას უკავშირდება, სადაც მიხეილ ტატიშვილი, ზურაბ დონდუა, მარდონ ლაბაშია, ნუგზარ ქეცბაია და სხვა გამორჩეული პროფესიონალები აღზარდა, პარალელურად კი განაგრძობდა სხვადასხვა რანგის ტურნირებში გამოსვლას და, როგორც რესპუბლიკის ნაკრების მუდმივი წევრი, ხშირად იმარჯვებდა ასპარეზობებში.

უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტმა ტკბილი მოსაგონარი აფხაზეთშიც დატოვა, სადაც გალის რაიონის ნაკრებს თავკაცობდა და იგი არაერთხელ გახადა საქართველოს ჩემპიონი, თანაც მის შეგირდთაგან მრავალმა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

ამჟამად ვეტერანი მხედარი თბილისის კაპიტონ ნაჭყებიას სახელობის სახელმწიფო იპოდრომის ჟოკეიკლუბში თავის ყოფილ მოსწავლეებთან – მარდონ ლაბაშიასთან და მიხეილ ტატიშვილთან ერთად ცხენის გაწვრთნისა და დაბრკოლებათა გადალახვის საქმის ათვისებას უძღვება...

**თამაზ ძიძავა.**

**სურათზე: ვალიკო ოძელაშვილი მოსკოვში ასპარეზობისას.**

ვარსკვლავი

# რუი კოშტა ფინალში თამაშზე ოცნებობს

(მეშვიდე გვერდიდან)

***– თქვენ მწვრთნელთა შტაბიც შეგეცვალათ: ახლა თქვენ მსოფლიო ჩემპიონი, ბრაზილიელი ლუის ფელიპე სკოლარი გწვრთნით...***

– ჩვენ სხვადასხვა სკოლის წარმომადგენლები ვართ. მის მოთხოვნებს უნდა შევეგუოთ, ის კი თავის მხრივ, ჩვენ უნდა შეგვეჩვიოს. სკოლარის, როგორც ცნობილია, ევროპაში მწვრთნელად არასოდეს უმუშავია. ამასთან, მას მთელი ორი წელი ჰქონდა, რათა ახალი საქმე აეთვისებინა, ეს კი ძალიან კარგად და ჭკვიანურად გააკეთა. ივნისში ევროპის ჩემპიონატში ისე უნდა ვითამაშოთ, რომ განსხვავება ჩვენსა და მას შორის თამაშისადმი მიდგომის საკითხში მთლიანად აღმოიფხვრას, გაქრეს.

***– შეიძლება თუ არა მომავალი ჩემპიონატის ვარსკვლავების დასახელება?***

– მე მინდა, რომ გამოჩენილმა მოთამაშეებმა თავიანთი რენომე დაამტკიცონ. ისინი ყურადღების ცენტრში იქნებიან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რომელიმე ახალი ვარსკვლავი გამოჩნდება. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები ის შეჯიბრებებია, სადაც გამოცდილება უდიდეს როლს თამაშობს.

***– ოცნება იმაზე, რომ შეიძლება ფინალურ მატჩში „და ლუშის“ სტადიონზე ითამაშოთ, თქვენთვის დამატებით სტიმულად იქცევა?***

– დიახ, რა თქმა უნდა, თუმცა ეს ძველი სტადიონი „და ლუში“ აღარ გახლავთ, სადაც ოდესღაც მე დავიწყე თამაში. ამასთან, ეს ხომ ის სტადიონია, სადაც „ბენფიკა“ გამოდის, ჩემი პირველი გუნდი. მე ბედნიერი ვიქნებოდი, აქ ევროპის პირველობის ფინალურ მატჩში მეთამაშა.

***– მაშინ უკვე წრე შეიკვრებოდა, რადგან სწორედ ამ სტადიონ „და ლუშზე“ დიდმა ეუსებიომ აღმოაჩინა 9 წლის ბიჭუნა და „ბენფიკაში“ მიიყვანა.***

– დიახ, ასე იყო. იმ დღეს ნორჩ ფეხბურთელებს, კლუბის წევრების შვილებს სინჯავდნენ. ჩვენ, 500 ბიჭუნას, ნება დაგვრთეს თავი შეგვექცია – „და ლუშის“ სათამაშო მინდორზე 15-15 წუთს ვთამაშობდით. არ ვიცი, ეს კარგი იყო თუ ცუდი, იმ დღეს ორჯერ შევეხე ბურთს, ორიოდე მეტოქე მოვატყუე, ამის შემდეგ ეუსებიომ მინდვრიდან გამომიყვანა და მითხრა, ხვალ მივსულიყავი. მე სახტად დავრჩი – ვიფიქრე, მინდორი იმიტომ დამატოვებინეს, რომ თამაში არ ვიცოდი. მომდევნო დღეს ყველაფერი შეიცვალა: ეუსებიოს ვაჩვენე ყველაფერი, რაც შემეძლო და მიმიღეს კიდეც „ბენფიკას“ ბავშვთა გუნდში.

***– ამრიგად, თქვენ იმ კლუბის შემადგენლობაში აღმოჩნდით, რომლის გულშემატკივარიც იყავით. ამბობენ, რომ 16 წლისამ, მანამდე, სანამ პროფესიონალი გახდებოდით და პორტუგალიის ჩემპიონატსა და თასს მოიგებდით, სიცოცხლის ფასი რისკი გაწიეთ „ბენფიკას“ გულისთვის.***

– დიახ, ასე მოხდა. მე აპენდიციტის შეტევის გამო საავადმყოფოში ვიწექი. ამ დღეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში „ბენფიკა“ და „სტიაუა“ ხვდებოდნენ ერთმანეთს, მე კი არ შემეძლო ამ მატჩზე დასწრება. ვერ მოვითმინე, მეზობელს ჩემს პალატაში სამედიცინო ბარათი გავუცვალე და გავვარდი სტადიონზე. მე მართლაც დიდი რისკი გავწიე, მაგრამ სამაგიეროდ თავიდან ავიცილე ოპერაცია, აპენდიციტსაც მეტჯერ აღარ შევუწუხებივარ.

***– როცა ევროპული დონის ვარსკვლავი გახდით, „ფიორენტინაში“ დაიწყეთ თამაში. ამით უკმაყოფილო იყავით, რადგან გული კატალონიისაკენ მიგიწევდათ.***

– ამ დროს მე უკვე „ბარსელონას“ ვეკუთვნოდი, მაგრამ რახან „ფიორენტინას“ დაუთმეს ჩემი თავი, სულაც არ გამხარებია.

***– ისე კი, აზრი ფლორენციაზე მალე შეიცვალეთ.***

– დიახ. იქ ჩემი ცხოვრების 7 საუკეთესო წელი გავატარე.

***– როცა ფეხბურთელი „მილანის“ წევრია, ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველდღიურად უნდა იბრძოლოს ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოსაპოვებლად, შეეჯიბროს უმაღლესი კლასის მოთამაშეებს.***

– მეც, ისევე როგორც სხვები, განვიცდი, როცა არ მათამაშებენ, მაგრამ ამ საკითხზე კამათს არ ვიწყებ. ყველაფერს გავაკეთებ, რათა უფრო ხშირად მენდონ, წინ კი ევროპის ჩემპიონატია.

**მოამზადა**
**გიგი თორელიძე.**

ცინცხალი ამბავი



**იაპონიაში მიღებული მუხლის ტრავმის გამო გამოტოვებული ტურნირების შემდეგ ამერიკელმა ჩოგბურთელმა ვინუს უილიამსმა გადაწყვიტა დიდ ჩოგბურთს დაუბრუნდეს. იგი ერთ კვირაში მონაწილეობას მიიღებს დუბაიში გამართულ ტურნირზე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ყოველი მხრიდან

## 2005 — სპორტის წელი

**2005 წელი გამოცხადდება სპორტის წლად, — ასე განაცხადა მოსკოვში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მრჩეველმა სპორტის საკითხებში ადოლფ ოგიმ.**

მისივე განცხადებით, გაეროს გეგმაშია კონფერენცია „სპორტი და მშვიდობა“, რომელიც, სავარაუდოდ, წლეულს, ნოემბერში გაიმართება მოსკოვში.

## ისევ და ისევ ლინარესი

**ესპანეთის ლინარესში სტარტი აიღო რიგით 21-ე საჭადრაკო სუპერტურნირმა, რომელსაც XX კატეგორია მიენიჭა. ის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტურნირია ჭადრაკის სამყაროში.**



მასში თითქმის ერთწლიანი შესვენების შემდეგ მონაწილეობს მსოფლიო რეიტინგის უცვლელი ლიდერი გარი კასპაროვი, აგრეთვე ვეიკ-ან-ზეეს ტურნირზე ხელმოცარული ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ ჭადრაკში ვლადიმერ კრამნიკი.

ანდალუზიის ამ პატარა ქალაქში, ჭადრაკის თავისებურ მექად რომ იქცა, წილისყრამ ტურნირში მონაწილე დიდოსტატები ასე დაალაგა: 1. **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი, ფიდეს რეიტინგი — 2735). 2. **ფრანსისკო ვალეხო** (ესპანეთი — 2663), 3. **ალექს შიროვი** (ესპანეთი — 2736); 4. **თემურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი — 2656); 5. **პეტერ ლეკო** (უნგრეთი — 2722); 6. **გარი კასპაროვი** (რუსეთი — 2831); 7. **ვლადიმერ კრამნიკი** (რუსეთი — 2777).

პირველ ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ შიროვი და კასპაროვი. ჭადრაკის მოყვარულებმა იციან, რომ, კარგა ხანია, ისინი ერთმანეთს არ ესალმებიან, ჭადრაკის დაფასთან შეხვედრისასაც ტრადიციულად ხელს არ ართმევენ ერთმანეთს. მაგრამ ლინარესში პარტიის დაწყებამდე „გაესპანელებულმა“ შიროვმა მორიდებულად გაუწოდა ხელი მეტოქეს, რაზეც გარიმაც უპასუხა. თითქოს ასეთი შერიგების გამოხმაურება იყო მათი პარტიაც — საკმაოდ მწვავე ორთაბრძოლა, გულშემატკივრები ძალზე რომ აალელვა, ყაიმით დასრულდა.

თუმცა 16 წლის ბაქოელი თემურ რაჯაბოვი ძალზე აგრესიულად არის განწყობილი და წარმატებასაც მოელის, მაგრამ პირველი პარტია დათმო პეტერ ლეკოსთან.

ერთობ უფერული გამოდგა ვალეხოსა და კრამნიკის 18-სვლიანი ორთაბრძოლა — ყაიმი. ამ დღეს ბულგარელი ტოპალოვი ისვენებდა.

ძალზე „მშვიდობიანად“ ჩაიარა მეორე ტურმა: თავიანთი პარტიები ყაიმით დაასრულეს კრამნიკმა — შიროვთან, კასპაროვმა — რაჯაბოვთან, ტოპალოვმა — ვალეხოსთან.

## ფული იშოვა

**მოპოვებული გამარჯვებების შედეგად მიღებული შემოსავლით ჩოგბურთელებთან, გოლფისტებთან, მოკრივეებთან, კალათბურთელებთან, ჰოკეისტებთან და სპორტის ზოგიერთი სხვა სახეობის წარმომადგენლებთან შედარებით, მძლეოსნები მაინც და მაინც დიდად ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ მათაც ჰყავთ თავიანთი ლიდერი.**

ასეთად მიიჩნიეს 800 მეტრზე სირბილში ოლიმპიური ჩემპიონი, სამგზის მსოფლიო ჩემპიონი, მოზამბიკელი მორბენალი ქალი მარია მუტოლა — მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მძლეოსანი.

ამერიკული ინტერნეტ-საიტის Trackpotile ცნობით, მოზამბიკელმა მორბენალმა გასულ სეზონში 1.036 მილიონი ევრო გამოიმუშავა.

ფულიან რეიტინგში მეორე ადგილზეა ამერიკელი ჯასტინ ჰეტლინი — 469 190 ევრო.

მუტოლას შემოსავლის დიდი ნაწილი შეადგინა „ოქროს ლიგაში“ გამარჯვებით მოპოვებულმა „ჯეკ პოტმა“.




## სასჯელი არ შეიცვალა

**მოსკოვის „სპარტაკის“ კაპიტნის იგორ ტიტოვის 12-თვიანი დისკვალიფიკაცია, შეიძლება, უფრო გამკაცრდეს, — ასე განაცხადა ამ ცოტა ხნის წინათ უეფას სადისციპლინო ინსპექტორმა გერჰარდ კაპლმა, ფეხბურთელის აპელაციის მასალების გაცნობის შემდეგ.**

კერძოდ, მან თქვა, რომ ამ მასალებში ვერ ხედავს რუსეთელი ფეხბურთელისთვის სასჯელის შემსუბუქების მიზეზებს.

შეგახსენებთ, რომ ტიტოვს დისკვალიფიკაცია და ფულადი ჯარიმა მიუსაჯეს ევრო-2004-ის შესარჩევი ტურნირის რუსეთ-უელსის პირველი დამატებითი მატჩის შემდეგ აღებული დოპინგსინჯის შედეგად, სისხლში აკრძალული პრეპარატის ბრომანტანის ნარჩენების აღმოჩენის საფუძველზე.

და სწორედ ტიტოვის დისკვალიფიკაციის გამო უელსის ნაკრები მოითხოვს, რუსეთის ნაკრებს წაგებად ჩაეთვალოს კარდიფში მოგებული განმეორებითი მატჩი.



და აი, 20 თებერვალს შვეიცარიის ნიონში უეფას სააპელაციო კომიტეტმა განიხილა „სპარტაკის“ აპელაცია „ტიტოვის საქმეზე“. ვინაიდან სხდომის დროს როგორც მოსკოვური კლუბის წარმომადგენლებმა, ისე თვით ფეხბურთელმა აპელაცია უკან გაითხოვეს, ტიტოვის სასჯელი — ერთი წლით დისკვალიფიკაცია — ძალაში დარჩა.

## სად მიდის საოლიმპიადო მილიონები?

**2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშებისათვის მოსამზადებლად რუსეთის ბიუჯეტით გამოყოფილია ორი მილიარდ 84 მილიონი რუბლი და 15 მილიონ 525 ათასი დოლარი. როგორც რუსეთის სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვალენტინ ბალახნიჩევმა განაცხადა, „სამი წლის მანძილზე 2001-დან 2003 წლამდე სპორტის საზაფხულო სახეობებში რუსეთის ნაკრებების მოსამზადებლად დაიხარჯა 1 მილიარდ 504 მილიონი რუბლი, საიდანაც 87 მილიონი მოხმარდა სპორტსმენთა ფარმაკოლოგიისა და აღმდგენლების, ხოლო 57 მილიონი — სპორტული მოწყობილობების შეძენას. ვალუტის ხარჯი ამ პერიოდში შეადგენს 10 მილიონ 850 ათას დოლარს.**

მისივე თქმით, წლეულს სპორტის ხარჯები წინა პერიოდთან შედარებით სამჯერ გაიზარდა და შეადგენს 3 მილიარდ 347,7 მილიონ რუბლსა და ოთხი მილიონ 675 ათას დოლარს. ამ თანხიდან 469 მილიონი უკვე დახარჯულია წინასაოლიმპიადო შესარჩევ შეჯიბრებებში ნაკრებების მომზადებასა და მონაწილეობაზე, ხოლო 120 მილიონი, — ნაკრებების სამედიცინო უზრუნველყოფაზე“, — აღნიშნა ბალახნიჩევმა გაზეთში „ახალი ამბების დრო“.

ამავე დროს რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეს-ატაშემ გენადი შვეცმა ვერ დაასახელა ვერც




ერთი ციფრი, იმ მიზეზით, თითქოს კითხვები ბუნდოვნად იყო ჩამოყალიბებული ფინანსური შესაძლებლობების მიხედვით, „ნაკრებს აქვს პროგრამა მაქსიმუმი და პროგრამა მინიმუმი. ამერიკელები ამ თამაშებზე მილიარდ დოლარს ხარჯავენ. ასეთ თანხაზე ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება“, — განაცხადა შვეცმა.

ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## გრიგოლი — ათლეტთა ოჯახიდან

II ნაწილი

ვაზრძელებთ ვარჯიშების სერიას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ათლეტიზმის სექციის მწვრთნელის **გრიგოლ ნიკოგოსოვის** (დაბ. 1980 წ.) შესრულებით.

გრიგოლი წლების განმავლობაში ვარჯიშობს ათლეტიზმში. მისი სიმაღლეა 171 სმ., წონა — 110 კგ., მკერდის გარშემოწერილობა — 138 სმ., ბიცეპსის — 54 სმ. იგი ტრადიციული კულტურისტების ოჯახიდანაა. მისი მამა ბ-ნი არტემ ნიკოგოსოვი და დედა ქ-ნი ევგენია კულტურიზმის ერთ-ერთი პირველი მიმდევრები არიან საქართველოში, კულტურისტია მისი უფროსი ძმა ალექსანდრეც.

გრიგოლს თავის წონაში უძლიერესი ბიცეპსები (მხრის ორთავა კუნთები) აქვს მსოფლიოში. 2003 წელს ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ედისონში (აშშ) გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე შეჯიბრების პროგრამაში ბიცეპსების ძალით წონის აწევა იყო შეტანილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს სახეობა ჩვენთვის უცნობი იყო, ასპარეზობაში სახელდახელოდ ჩავაბით ზემძიმე წონის სამჭიდელო ათლეტი გერონტი ჯმუხაძე, რომელმაც არა მარტო გაიმარჯვა აბსოლუტურ წონაში, არამედ მსოფლიო რეკორდიც დაამყარა — 100 კგ. გრიგოლ ნიკოგოსოვის წონაში (110 კგ-მდე კატეგორია) გამარჯვებულმა 85 კგ. წონა ასწია. ბიცეპსებით ამ წონის დაძლევა გრიგოლისათვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოძრაობაში დიდი წარმატებები ჰქონდა ჩვენს ლეგენდარულ ათლეტს შოთა ბეჟაშვილს (125 კგ-მდე წონითი კატეგორია), მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ ბიცეპსებით წონის აწევა მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამაში არ შედიოდა.

თუ მოხერხდა ყველა ამ ათლეტის 2004 წ. 6 აგვისტოს ქ. ატლანტიკ-სიტიში მსოფლიო ჩემპიონატზე ჩაყვანა, მაშინ დიდ გამარჯვებებს უნდა ველოდოთ.

გთავაზობთ ძალისმიერ ვარჯიშებს გრიგოლ ნიკოგოსოვის შესრულებით.

**1. მხრის სამთავა კუნთების (ტრიცეპსების) ვარჯიში ორძელზე (სურ. 1, 2).**

სრულდება 6-8 მისვლა 15-15 გამეორებით.

**2. მხრის ორთავა კუნთების (ბიცეპსების) ვარჯიში შტანგით, დახრილ სიბრტყეზე იდაყვების დაყრდნობით.**

სრულდება 6-8 მისვლა 10-10 გამეორებით.

**3. ბიცეპსების ვარჯიში ჰანტელით თითოეული ხელისათვის (სურ. 4).**

სრულდება 6-8 მისვლა 12-12 გამეორებით.

1, 2, 3 ვარჯიშები შეიძლება შესრულდეს სერიის სახით. ამ შემთხვევაში მიმდევრობა შემდეგია:

1-ის I გამეორება, 2-ის I გამეორება, 3-ის I გამეორება, 1-ის — II, 2-ის — II, 3-ის — II და ა. შ.













**ზურაბ ჭავჭანიძე.**

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

მიწვევა

(მერვე-მეცხრე გვერდიდან)

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

XII ზონა

| № | მანქანა-დანადგარების დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | მსუბუქი ავტომანქანა | 1 |
| 2 | ბულდოზერი | 3 |
| 3 | გრეიდერი | 4 |
| 4 | ბიტუმის გასაცხელებელი მისაბმელი ქვაბი | 1 |
| 5 | სატკეპნი | 4 |
| 6 | ავტო-ამწე | 1 |
| 7 | ექსკავატორი პნევმო თვლებზე | 3 |
| 8 | ასფალტის ქარხანა | 1 |
| 9 | კომპრესორი | 1 |

XIII ზონა

| № | მანქანა-დანადგარების დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | მსუბუქი ავტომანქანა | 1 |
| 2 | ბულდოზერი | 5 |
| 3 | გრეიდერი | 4 |
| 4 | ბიტუმის გასაცხელებელი მისაბმელი ქვაბი | 1 |
| 5 | სატკეპნი | 3 |
| 6 | ავტო-ამწე | 1 |
| 7 | ექსკავატორი პნევმო თვლებზე | 3 |
| 8 | [illegible] | 1 |
| 9 | ასფალტის ქარხანა | 1 |
| 10 | კომპრესორი | 1 |

XIV ზონა

| № | მანქანა-დანადგარების დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | მსუბუქი ავტომანქანა | 1 |
| 2 | ბულდოზერი | 4 |
| 3 | გრეიდერი | 3 |
| 4 | ბიტუმის გასაცხელებელი მისაბმელი ქვაბი | 1 |
| 5 | სატკეპნი | 3 |
| 6 | ავტო-ამწე | 1 |
| 7 | ექსკავატორი პნევმო თვლებზე | 4 |
| 8 | ასფალტის ქარხანა | 1 |
| 9 | კომპრესორი | 1 |

XV ზონა

| № | მანქანა-დანადგარების დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | მსუბუქი ავტომანქანა | 1 |
| 2 | ბულდოზერი | 3 |
| 3 | გრეიდერი | 4 |
| 4 | ბიტუმის გასაცხელებელი მისაბმელი ქვაბი | 1 |
| 5 | სატკეპნი | 3 |
| 6 | ავტო-ამწე | 1 |
| 7 | ექსკავატორი პნევმო თვლებზე | 3 |
| 8 | ასფალტის ქარხანა | 1 |
| 9 | კომპრესორი | 1 |

XVI ზონა

| № | მანქანა-დანადგარების დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | მსუბუქი ავტომანქანა | 1 |
| 2 | ბულდოზერი | 4 |
| 3 | გრეიდერი | 2 |
| 4 | ავტო-ამწე | 1 |
| 5 | ექსკავატორი პნევმო თვლებზე | 2 |
| 6 | კომპრესორი | 1 |

XVII ზონა

| № | მანქანა-დანადგარების დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | მსუბუქი ავტომანქანა | 1 |
| 2 | ბულდოზერი | 1 |
| 3 | გრეიდერი | 2 |
| 4 | ბიტუმის გასაცხელებელი მისაბმელი ქვაბი | 1 |
| 5 | სატკეპნი | 2 |
| 6 | ექსკავატორი პნევმო თვლებზე | 2 |
| 7 | კომპრესორი | 1 |

XVIII ზონა

| № | მანქანა-დანადგარების დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | მსუბუქი ავტომანქანა | 1 |
| 2 | ბულდოზერი | 3 |
| 3 | გრეიდერი | 3 |
| 4 | ბიტუმის გასაცხელებელი მისაბმელი ქვაბი | 1 |
| 5 | სატკეპნი | 3 |
| 6 | ავტო-ამწე | 1 |
| 7 | ექსკავატორი პნევმო თვლებზე | 3 |
| 9 | ასფალტის ქარხანა | 1 |
| 10 | კომპრესორი | 1 |

- ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

| თანამდებობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| | | | |

უპირატესობა მიენიჭება იმ მონაწილეს, რომლის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე პერსონალის საერთო გამოცდილება იქნება 10 წელი, ხოლო ანალოგიურ თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილება კი – 5 წელი.

- სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდება

| შესასრულებელი სამუშაოს სახე | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| | | |

**— მონაწილე ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.**

**— მონაწილე იურიდიული ან ფიზიკური პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.**

**5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.**

**6. თითოეულ ზონაზე, ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 17.03.04-დან 18.03.04-ის 5 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.**

**7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, მე-13 სართული, საკონტაქტო ტელეფონი 37-63-95, გია დიასამიძე.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1) ფოთის საზღვაო ნავსადგური (ქ. ფოთი 4401, დავით აღმაშენებლის ქ. №52, ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48, საბანკო რეკვიზიტები: გაერთიანებული ქართული ბანკის ფოთის №23 ფილიალი, ა/ა №623607, ბ/კ №220102606) აცხადებს ღია ტენდერს პორტალური ამწეების რემონტის მომსახურების შესყიდვაზე, მათ შორის:

1. პორტალური ამწე „განცი" ინდ. №30-ის რემონტი
2. პორტალური ამწე „განცი" ინდ. №20-ის რემონტი
3. პორტალური ამწე „ალბატროსი" №34-ის რემონტი

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2) მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა:

- **ფოთის საზღვაო ნავსადგური.**
- მომსახურების გაწევის ვადები: **2004 წლის აპრილიდან – 2004 წლის მაისის მეორე დეკადა.**

3) დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები (ქართველმა „მიმწოდებელმა" – ქართულად, ხოლო უცხოელმა „მიმწოდებელმა" – მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №52, ნავსადგურის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული (ნავსადგურის კანცელარია) საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48, **2004 წლის 8 მარტიდან – 2004 წლის 15 მარტის 16 საათამდე.**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარერობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ის ქმედითუნარიანია.

ბ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**4.3. იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:**

ა) მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით), რეგისტრაციის ადგილი, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი.

ბ) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მომსახურება.

გ) ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება.

დ) საგადასახადო დავალიანებები სახელმწიფო ბიუჯეტისათვის, სოციალური უზრუნველყოფის და სამედიცინო ფონდისადმი. დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები.

5. ტენდერში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №52, ფოთის საზღვაო ნავსადგურის სატენდერო აპარატი, **2004 წლის 18 მარტიდან – 2004 წლის 22 მარტის 12 საათამდე.**

**სატენდერო წინადადების მიღება იწარმოებს 2004 წლის 23 მარტიდან 2004 წლის 26 მარტის 12 საათამდე.**

8. ტენდერში საქართველოსა და უცხო ქვეყნების პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში საქართველოს პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების მიმართ გამოიყენება პრეფერენციული შეღავათი 15 პროცენტის ფარგლებში.

9. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

10. ტენდერში გამარჯვებულის გამოსავლენად უპირატესობა მიენიჭება შემდეგ პრიორიტეტებს: მომსახურების ფასი, მომსახურების ხარისხი, ანგარიშსწორების პირობები, მომსახურების გაწევის ვადები და სხვა.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მ. დანელია და ლ. კეშელავა, შემდეგ მისამართზე: **ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №52, ფოთის ნავსადგურის სატენდერო კომისიის აპარატი, საკონტაქტო ტელ: 8(293) 7-01-48.**

**ვ. ხოხობაია,**
**ფოთის ნავსადგურის სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ჩვენი მილოცვა

# არ მოაკლდეს შენისთანა კოჩი სათითმერიოს!



სულ წიგნებით, სულ ჟურნალებით დატვირთული დადიოდა ჯუმბერი. და, ზოგჯერ, ნასიამოვნები რომელიმე პუბლიკაციით, ცდილობდა ჩვენთვისაც გადმოეცა თავისი აღტაცება – „ცისკრიდან“, ან „მნათობიდან“ ნაწყვეტებს გვიკითხავდა ხოლმე უნივერსიტეტის ბაღში. ასე გაგვაცნო, მაგალითად, სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ – თარგმნილი ვახტანგ ჭელიძის მიერ.

ასეთი დარჩა დღემდე – უკვე 65 წლის ჯუმბერ თითმერია. ყველაფერი კარგი ქართული უხარია, ეთაყვანება კარგ ლექსს, კარგ მოთხრობას, პუბლიცისტურ წერილს... ოღონდ ეგაა: დღეს უკვე უზარმაზარი ჩანთით დადის და შიგ უამრავი წიგნი, ჟურნალი, თარგმანი თუ კრიტიკული სტატია უწყვია.

წიგნიერება, განათლებაა მისი სიმდიდრე, ეამაყება, ღმერთმა ქართული სიტყვის მსახურად რომ გააჩინა და ეს გენი შვილებსაც გაჰყვათ – ვაჟიშვილი ლევანი უკვე ცნობილი გამომცემელია.

ჟურნალისტიკა კი დაამთავრა და ხარკიც მოუხადა ამ დარგს – იმუშავა რედაქციებში (ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორიც იყო), დაბეჭდა შესანიშნავი წერილები, რომელთაგან, მაგალითად, ჩემთვის დღემდე დაუვიწყარია ნარკვევი საბჭოთა კავშირის გმირის გრიგოლ სხულუხიას ოჯახზე, მაგრამ ჯუმბერი, ეტყობა, მაინც „მაღალი სფეროებისთვის“ იყო დაბადებული და მალე სრულიად გამორჩეული, პრინციპული ლიტერატურის კრიტიკოსის სახელი დაიგდო, რამდენიმე წიგნიც გამოსცა. თან თარგმნიდა – უფრო რუსულიდან, ქართველ მკითხველს უნიჭიერესი რუსი მწერლის ვასილ შუკშინის მოთხრობები გააცნო, ამას მოჰყვა უამრავი ცნობილი საზღვარგარეთელი ავტორის უზადოდ თარგმნილი მოთხრობა თუ რომანი, ესსე თუ მოგონება... დღეს ჩვენს ჯუმბერს მთელი საქართველო იცნობს, როგორც ძალზე გემოვნებიან მთარგმნელს, მხატვრული სიტყვის ოსტატს.

სულ მოძრავი, სულ საქმიანი, მეგობრის გამტანი, ჭირსა და ლხინში გვერდით მდგომი, სიმართლის მხარდამჭერი და დაუნდობელი ყოველივე უკეთურის მიმართ – ასე მოვიდა დღემდე ჩვენი ზუგდიდელი ჯიმა და აწი რაღა შეცვლის.

ასეთს გაგიმარჯოს ჯუმბერ, არ მოაკლდეს შენისთანა კოჩი სათითმერიოს!

**ვილენ მარდალეიშვილი.**

**ქვემოთ გთავაზობთ ცნობილი რუსი მწერლის სერგეი დოვლატოვის მოთხრობის — „ბლუზი ნათელასთვის“ — ჯუმბერ თითმერიასეულ ახალ თარგმანს.**

სერგეი დოვლატოვი

## ბლუზი ნათელასთვის

საქართველოში საქმე უკეთაა, იქ ყველაფერი სხვაგვარადაა. მეტი ფული, ღვინო და გმირობაა. უფრო ფართო ჟესტებია და ხელისგული დანის ვადასთან უფრო ახლოა...

ქართველი ქალები მკაცრები, მფრთხალები არიან, ასე რომ, მათ ნუ ეხუმრები. ყველამ იცის: რბილი წამწამების ბარიკადები მიუდგომელია.

საქართველოში კლიმატი არაა, იქ მხოლოდ მზე და ჩრდილია. ზაფხულში ჩრდილები უფრო მოკლეა, ზამთარში – გრძელი, და მორჩა.

საქართველოში უკეთაა საქმე. იქ ყველაფერი სხვაგვარადაა.

ხელს ვუჭერ ამ დაჟანგებულ კალამს. ჩემი თითები შიშისგან ცახცახებენ, იყინებიან. კალამი ხომ მეტისმეტად უხეში ინსტრუმენტია. როგორ დავხატო შენი პორტრეტი! შენი პორტრეტი, ნათელა ბოკუჩავა!

ო, ნათელა! შენ ხარ ფიალა წვეროსანთა და ძლიერთა ნადიმში! შენ ხარ წყაროს წყლის ყლუპი ჩხუბის შემდეგ! შენ აქამდე იდუმალი ფანჯრებიდან მოფრენილი ნაღვლიანი მოტივი ხარ! შენ ის კოკისპირული წვიმა ხარ, რომელშიც მთაში მოვყევით! და ხე, რომლის ქვეშაც თავს ვიფარავდით კოკისპირული წვიმისგან! და ელვა, რომელიც ხელს ანაფოტებს!.. შენ მშვენიერი ქვეყნის სიქორფე ხარ!..

ნათელა ყოველ დილას ათქაფუნებს არაგვის მძიმე წყალს, ნაპირზე რჩება ქვას ამოდებული მისი სარაფანი, საათი და საზაფხულო ფეხსაცმელი.

ნათელა მიცურავს და მისი სხეული წყალქვეშ თეთრად, თეთრად თიმთიმებს. ნაპირზე ჩუმად შრიალებენ ყურძენ „იზაბელას“ ბუჩქები. ბუჩქებს იქით კი ამ დროს ვნებები ბობოქრობენ. ამ მომენტში იქ უკვე დიდი ხანია ჩაცუცქულია არჩილ პირაძე, ზოოტექნიკოსი.

არჩილ პირაძე ერთი საათის წინ გამოვიდა სახლიდან.

– არჩილ, – განუცხადა მას დედაბერმა კეკე პირაძემ, – გელოდები. ვნერვიულობ, როცა აქ არა ხარ. აი, შეხე, კართანაზე ვაფურთხებ. მის გაშრობამდე უნდა დაბრუნდე.

– კეთილი, – თქვა არჩილმა.

დედაბერმა დააფურთხა კართანაზე და სახლში შევიდა. ახლა მისი შვილი მოქმედებას შეუდგა. კართანიდან დაჟანგებული თოფი გამოიღო. შემდეგ დატენა ის და მდინარისკენ გაემართა.

ახლა ჩაცუცქულია და ელოდება. როგორც იქნა, არაგვის ნაპირის გლუვ ქვებზე ნათელა მოაბიჯებს...

ამქვეყნად ამ სანახაობაზე მშვენიერი რა შეიძლება იყოს?! როგორი საქმეა არჩილ პირაძისთვის ამის ყურება?! არჩილისთვის, რომელსაც ცხენი გონს აკარგვინებს?!

და მაშინ არჩილ პირაძე სულ უფრო და უფრო მაღლა სწევს თავის დაჟანგულ თოფს, შემდეგ კი ჩახმახს აჭერს ხელს.

კვამლი ნელა იფანტება, გრუხუნი წყდება. მისი შორი ექო მთებში ყუჩდება.

– ეს ისევ თქვენ ხართ, პირაძე? – მკაცრად კითხულობს ნათელა, – ასეც ვიცოდი. რამდენ ხანს შეიძლება ეს გრძელდებოდეს?! დიდი ხანია გითხარით, რომ თქვენი ცოლი არ გავხდები. რატომ აკეთებთ ამას? ყოველდღე რატომ მესვრით? თქვენ ხომ უკვე იჯექით თხუთმეტ დღეს გაუპატიურების გამო. ეს არ გყოფნით, არჩილ?

– მე სხვა ადამიანი გავხდი, ნათელა, არა გჯერა? მე უკვე ინსტიტუტში მოვეწყვე. მეტიც – სტუდენტი გახლავარ.

– ამის დაჯერება ძნელია.

– მე რვეულები და წიგნები მაქვს. მაქვს სახელმძღვანელო, რომელსაც „ქიმია“ ჰქვია. გინდა შეგახედო?

– ვინმეს ქრთამი მიეცით?

– წარმოიდგინეთ, რომ არა. უფასოდ გავხდი სტუდენტი – დაუსწრებელზე ვსწავლობ.

– მოხარული ვარ.

– ჰოდა, ჩემი გახდი, ნათელა. შენ გექნება ყველაფერი – პატეფონი, მაცივარი, ძროხა გეყოლება, ჩვენ ვიმოგზაურებთ.

– რითი?

– კარუსელით.

– ძალიან მომხიბვლელი კი ხართ, მაგრამ ეს არ შემიძლია.

– მე შევიცვალე! – წამოიძახა პირაძემ, – ვსწავლობ. შემდეგ კი მე ყველაფერი თავზე საყრელად მექნება.

– არ შემიძლია. ვაი რომ, ლენინგრადში ასპირანტი გრიგორი რაბინოვიჩი მელოდება, მე მას სიტყვა მივეცი.

– მეც გავასპირანტდები. ბევრ წიგნს წავიკითხავ. შემიძლია ვთქვა, რომ ერთი წიგნი უკვე წავიკითხე.

– რა ჰქვია იმას?

– იმას მოთხრობა ჰქვია.

– მეტი არაფერი?

– მას სერაფიმოვიჩი ჰქვია!

– პირადად მე უფრო ტოლსტოი მომწონს, – უთხრა ნათელამ.

– მე მის წიგნებს წავიკითხავ. ნუ ინერვიულებს.

– ჩუმად, – თქვა ნათელამ, – გესმით?

ბუჩქებიდან ნაზი სიტყვები გაისმა:

**არაო, მითხარი მე შენ, არაო!**
**და თოვლზე გაიარე, გაიარე.**
**შენი პასუხი სუსხიანი იყო,**
**ის ღამე ვეწამე.**
**ო, როგორ ვეწამე...**

გზაზე ნელა მოაბიჯებდა კინომექანიკოსი გიგო ზანდუკელი, რომელსაც ნაალაფევი შაშხანა მოჰქონდა. ეს თოფი ოცდათექვსმეტ წელს იდო მიწაში. მის ხის კონდახზე ნორჩი ყლორტები იყო ამოყრილი. ლულიდან გეორგინებს ჰქონდათ თავი გამოყოფილი.

გიგომ ნათელა და პირაძე რომ დაინახა, შეჩერდა. შაშხანა მას ახლა უკვე წინგადახრილად ეჭირა.

– გიგო, თქვენ ჩემს მოსაკლავად მოხვედით? – ჰკითხა ნათელამ.

– თითქმის.

– ყველანი მხოლოდ იმას აკეთებთ, რომ მკლავთ და მკლავთ, ხან თქვენ, არჩილ, ხან კი თქვენ, გიგო! მხოლოდ ასპირანტი გრიგორი რაბინოვიჩი წერს ჩუმად თავის დისერტაციას მელანთევზებზე. ის ნამდვილი მამაკაცია. მე მას სიტყვა მივეცი, რომ...

ახლა საუბარში პირაძე ჩაერია...

– გიგო, შენ ვინ მოგცა ნათელა ბოკუჩავას მოკვლის უფლება?

ორი გასროლა ერთდროულად გაისმა.

გრუხუნი, კვამლი, მჭექარე ექო. შემდეგ ნათელას ნაღვლიანი და მოსაყვედურე ხმა:

– გევედრებით, ნუ იჩხუბებთ. იმეგობრეთ, გიგო და არჩილ, იმეგობრეთ!

